პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 193 (9969) | კვირა, 15 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ფართოდ დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება. — კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამოფენიდან დაბრუნდა (მე-2 გვერდი).
პროფ. ა. გაგარინი. — ქრისტიანობის წარმოშობა და კლასობრივი არსი (მე-2 და მე-3 გვერდი).
11 დღეში — 111 ჩქაროსნული ნალღობი (მე-2 გვერდი).
გავაჩაღოთ ბრძოლა კაპიტალიზმის ფსიქოლოგიის გადმონაშთის — ლოთობის წინააღმდეგ (მე-3 გვერდი).
მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## პარტიული ორგანიზაციები და ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის

საბჭოთა მრეწველობა გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის გზით სწრაფი ტემპით ვითარდება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე, რაც საშუალებას იძლევა განუწყვეტლივ ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი და სისტემატურად შევამციროთ თვითღირებულება. ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობის მუშაკების მიერ გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის მიზანია შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლების მიღწევა, მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა რესპუბლიკის მშრომელთა შორის. მოსკოველთა მაგალითისამებრ სულ უფრო და უფრო ფართოვდება პატრიოტული მოძრაობა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში დგანან პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები. ისინი გვევლინებიან როგორც ყოველივე ახლის, პროგრესულის თაოსნები, ხელს უწყობენ შრომის ნოვატორული მეთოდების გავრცელებას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას წარმოებაში. უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკის საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ყურადღება შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებისადმი. პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე საქმიანად მსჯელობენ მოწყობილობისა და მანქანა-დანადგარების მაღალნაყოფიერად გამოყენებაზე, სახავენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ განუხრელად იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება თვითეული სამუშაო ადგილის, თვითეული საწარმოო ოპერაციის მიხედვით. საგრძნობლად ამაღლდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, რაც გამოხატულებას პოულობს საწარმოთა მაღალ სამეურნეო მაჩვენებლებში.

მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მოწყობილობის, მექანიზმებისა და დანადგარების სრულად და მაღალნაყოფიერად გამოყენება. ტექნიკის სრულყოფილად ათვისება და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის გამოშვების განუწყვეტლივ გადიდების მძლავრი საშუალებაა. ამას ნათლად მოწმობს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაობა.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას აქცევს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლას, სისტემატურად მსჯელობს ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენების, თვითღირებულების შემცირების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით გამოაქვთ დადგენილებანი, რომელთა შესრულებისათვის ირაზმება ქარხნის მთელი კოლექტივი. პარტიული ორგანიზაცია მხარს უჭერს და ხელს უწყობს შრომის ნოვატორული მეთოდების გავრცელებას, ეხმარება ჩამორჩენილ ბრიგადებს მოწინავეთა დონემდე ამაღლებაში, იბრძვის შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის. ახალი დაკვეთების ათვისებისას პარტიული ორგანიზაცია უნარიანად იყენებს პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმას — კრებას, საუბარს, კედლის გაზეთს, თვალსაჩინო აგიტაციას, რათა უზრუნველყოს საწარმოს მთელი კოლექტივის დარაზმვა სახელმწიფო დავალების პირნათლად შესრულებისათვის. ყოველივე ამის შედეგად ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია.

შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღარო, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოლოტოვის სახელობის შახტი და სხვა საწარმოები. ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის პარტბიურომ ადმინისტრაციასთან ერთად მოიწვია საწარმოო-ტექნიკური კონფერენცია. კონფერენციის მზადებისა და მისი მსვლელობის პერიოდში გამოვლინდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, საწარმოს შინარეზერვების გამოყენების ახალი მდიდარი შესაძლებლობანი. ამ საშუალებათა გამოყენებით კომბინატმა ნახევარი წლის დავალება 22 ივნისისათვის შეასრულა, ამასთან დიდძალი ნედლეული დაზოგა. ამ წარმატებებში მნიშვნელოვანია კომბინატის აგიტატორების წვლილი, რომლებიც თავიანთ საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ საწარმოს ადგილობრივ საკითხებს, ცოცხალი, მართალი სიტყვით აღაფრთოვანებენ მეფეხსაცმელეებს მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

პარტიული მუშაობა მასებში ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა. შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლაში, ისევე როგორც მთელ თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, პარტიული ორგანიზაციები უნდა ეყრდნობოდნენ მასებს, იყენებდნენ მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას. მაგრამ ეს ყველგან ასე არ არის. ზათუმის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში კომუნისტების ი. ხუხუნაიშვილისა და ა. ხარატიშვილის აგრეგატები გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს, მაღალია მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მოწინავე ადამიანების შრომითი გამოცდილების განზოგადება და ფართოდ გავრცელება პარტიული ორგანიზაციის უპირველესი მოვალეობაა. სამწუხაროდ, სამკერვალო ფაბრიკის პარტიულმა ბიურომ ეს მოვალეობა დაივიწყა, იგი არ ზრუნავს მოწინავე გამოცდილების წარმოებაში დანერგვისათვის, ხოლო აგიტატორები უმოქმედობას იჩენენ. ამის შედეგია, რომ ფაბრიკაში ბევრი აგრეგატი ჩამორჩება. ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ ფაბრიკის კოლექტივმა ხუთი თვის დავალება მხოლოდ 86,2 პროცენტით შეასრულა და ქვეყანას 4 მილიონ 300 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლო. უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში მომხმარებელმა ორგანიზაციებმა საწარმოს დაუბრუნეს ან დაბალ ხარისხში გადაიყვანეს ფაბრიკაში დამზადებული 644.000 მანეთის პროდუქცია.

შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა. აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ შოკოლადის ფაბრიკაში, კუიბიშევის სახელობის ხისდამმუშავებელ ქარხანაში, სამღებლო ფაბრიკაში, ფანერის ქარხანაში და სხვა საწარმოებში სუსტად იბრძვიან წარმოების რეზერვების გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ამ ფაბრიკა-ქარხნების მუშების ნაწილი, წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებათა გამო, გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებს.

პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების სული და გული უნდა იყვნენ. განუხრელად უნდა ვიხელმძღვანელოთ გენიალური ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა გადამწყვეტ ამოცანას წარმოადგენს, რომ უამისოდ შეუძლებელია კომუნისტური საზოგადოების აშენება.

ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ ბრძოლა მუშათა საწარმოო-ტექნიკური კვალიფიკაციისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმო, სადაც ნაკლებად ზრუნავენ მუშათა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.

საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა განუწყვეტლივ იმუშაონ შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებზე. ამოცანა ის არის, რომ აქტიურად დავუჭიროთ მხარი წარმოების ნოვატორებს და მათი გამოცდილება ყველა მუშის კუთვნილება გავხადოთ. საჭიროა ყოველდღიურად, კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ სოციალისტურ შეჯიბრებას შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითეული საწარმოს მიერ სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

## საშემოდგომო თესვა დაიწყო

გორი. (საკ. კორ.). მდინარე ლიახვის ორივე მხარეს გაშლილ ლამაზ მიწებში შინდისისა და გორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მექანიზატორები საშემოდგომო ხორბლის თესვას შეუდგნენ. სოფელ შინდისის, კარალეთისა და ტკვიავის კოლმეურნეობებში უკვე დათესილია პირველი ათეული ჰექტარები.

# ჩვენს დიად სამშობლოში

## ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების 50 წლისთავისათვის

ამა წლის სექტემბერში სრულდება 50 წელი შესანიშნავი საბჭოთა მწერლის, სამოქალაქო ომის მონაწილის ნ. ა. ოსტროვსკის დაბადებიდან. ეს თარიღი ფართოდ იქნება აღნიშნული ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში. შექმნილია ამ თარიღის მომწყობი კომისია. ამ კომისიაში შევიდნენ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ნ. ა. ოსტროვსკის 50 წლისთავისათვის გამოდის მის ნაწარმოებთა ახალი გამოცემანი: მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობაში — მწერლის თხზულებათა კრებული 3 ტომად. საბავშვო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობაში — რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი" და ბიოგრაფიული ნარკვევი. კულტურულ-საგანმანათლებლო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა ამზადებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ბროშურასა და პლაკატებს. ოსტროვსკის ნაწარმოებებს უშვებს გამომცემლობა „ახალგაზრდა გვარდია". კავშირგაბმულობის სამინისტრო ამზადებს საფოსტო მარკას. ახალი მასალებით ავსებენ ნ. ა. ოსტროვსკის მემორიალურ მუზეუმებს. (საკდესი).

## მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა

ტაშკენტი, 13 აგვისტო. (საკდესი). ტაშკენტის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანაში გაიმართა ლექცია სამყაროს აღნაგობის შესახებ.

ამ უკანასკნელ ხანს ამ ქარხანაში გაძლიერდა მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა. აგვისტოში საწარმოში წაკითხულ იქნა ლექცია „არის თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე?" და სხვ. წითელ კუთხეებში აჩვენეს მეცნიერულ-პოპულარული ფილმები.

საწარმოთა ზოგიერთ კულტურის სასახლესა და კლუბში გაიხსნა მუდმივმოქმედი ლექტორიუმები. სადაც კითხულობენ ლექციებს მეცნიერულ-ათეისტურ თემებზე, იმართება კითხვა-პასუხის საღამოები, მოწყობილია სპეციალური ფოტოგამოფენები.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდაში აბამენ ქალაქის მეცნიერებს, პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს.

## საშემოდგომო მარცვლეულის თესვა მოსკოვის ოლქში

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობათა მინდვრებზე დაიწყო საშემოდგომო მარცვლეულის მასობრივი თესვა. როგორც წესი, თესვა მიმდინარეობს ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინი წესით კარგად მომზადებულ ანეულში.

ფართობზე, რომელიც 125 ათას ჰექტარს აღემატება, პირველად ინერგება ნიადაგში ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევის თესვისწინა შეტანის ახალი წესი. ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საცდელ ნაკვეთებზე შემოწმებული და წარმოდგენილი ეს ეფექტიანი აგროხერხი რამდენჯერმე ამცირებს სასუქების საჭიროებას და ზრდის მოსავალს.

კოლმეურნეობები მნიშვნელოვნად აფართოებენ საშემოდგომო ხორბლის ნათესებს. ათეულ ათასობით ჰექტარზე ითესება ხორბალ-ჭანგის ჰიბრიდები 599 და 186. ისინი გამოირჩევიან უხვი მოსავლიანობით და უძლებენ სხვადასხვა დაავადებასა და ჩაწოლას.

მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა უკვე დათესეს ერთიორად მეტი საშემოდგომო მარცვლეული, ვიდრე გასულ წელს ამავე თარიღისათვის.

## სამანქანო-სატორფო რაზმები მტს-ებთან

ჩვენი ქვეყნის არაშავმიწიანი რაიონების მინდვრების ნაყოფიერების გადიდებისათვის სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ტორფს. როგორც მრავალი წლის გამოკვლევებმა ცხადყო, ტორფის სასუქები უზრუნველყოფენ საშემოდგომო მარცვლეული კულტურების მოსავლის საშუალო მატებას 4,5-6 ცენტნერის, საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების 4-5 ცენტნერისა და კარტოფილის 30 — 50 ცენტნერის რაოდენობით ჰექტარზე. ამ სასუქების დიდ მნიშვნელობას მოწმობს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება. მოსკოვის ოლქის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ტორფის კომპოსტებით სარგებლობს, ჰექტარზე 20 ცენტნერ საგაზაფხულო ხორბალს იღებს. ვლადიმირის ოლქის კოლმეურნეობას „ზავეტ ლენინა" ტორფი შეაქვს კარტოფილის მთელ ნათესებში და საშუალოდ 210 ცენტნერ კარტოფილს იღებს ჰექტარზე. ბელორუსიის სსრ გომელის ოლქის კოლმეურნეობა „ბოლშევიკი" ბაღის გასაპოხიერებლად ყოველწლიურად ამზადებს 1000 ტონა ტორფს, რომელიც ხელს უწყობს ხილის მოსავლის მნიშვნელოვან გადიდებას და უზრუნველყოფს ნერგის გახარებასა და ზრდას.

მოსკოვის ოლქის გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც განთქმულია ბოსტნეულის უხვი მოსავლით, ყოველ წელიწადს ხმარობს ათი ათას ტონა ტორფს. სასუქად მას ხმარობენ კომპოსტის სახით, კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესების მულჩირებისათვის, სასათბურო-საკვალსათბურო გრუნტის მოსამზადებლად და ტორფ-ნეშომპალის ქოთნების დასამზადებლად.

შარშან ჩვენი ქვეყნის მინდვრებში შეტანილი იყო ათ მილიონ ტონაზე მეტი ტორფი. ტორფის დამზადება და გამოყენება სასუქად უკვე მომავალ წელს მარტო კოლმეურნეობებში მიაღწევს 55 მილიონ ტონას და შემდეგში მნიშვნელოვნად გადიდდება. ამ დიდი ამოცანის შესასრულებლად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 1955-1956 წლებში აწყობს ტორფის მოპოვების რაიონებში არსებულ მტს-ებთან 1.480 სამანქანო-სატორფო რაზმს. ეს რაზმები აღიჭურვებიან მოწყობილობით, რაც საჭიროა ტორფის სასუქების ამოღების, გამოზიდვისა და შეტანის კომპლექსური მექანიზაციისათვის.

(საკდესი).

## სტალინგრადის ჰესის მშენებლობაზე

ვოლჟსკი, 12 აგვისტო. (საკდესი). 31 აგვისტოს ოთხი წელი სრულდება სტალინგრადის ჰესის მშენებლობის შესახებ მთავრობის დადგენილების გამოქვეყნების დღიდან. უმაგალითოდ შეიცვალა ის ადგილები, სადაც ახლა მისი შენება წარმოებს. მიწის, ფოლადისა და ბეტონის მაღალმა ჯებირებმა, რომლებიც ზღუდავენ ქვაბულს, ძლიერ შეავიწროვეს მდინარე ვოლგა, რომელიც მუდამ მშვიდი იყო ამ ადგილას, ახლა თავის წყლებს მქუხარედ და სწრაფად მიაქანებს.

დაძაბული შრომაა ჰესის შენობის ქვაბულში. მიუხედავად მისი აუზის უდიდესი ზომისა, აქ ახლა სივიწროვეა მანქანებისაგან. მუშაობენ ექსკავატორები, ბულდოზერები, აქეთ-იქით დადის ასობით ავტოთვითსაცლელი. სატვირთო მანქანების ძარებში მიწა, ბეტონი, ქვიშა, არმატურა და ხე-ტყეა.

ერთი თვის წინათ მშენებლებმა დაამთავრეს მიწის ამოღება ქვაბულის პირველი რიგიდან, ხოლო ამჟამად აქ, 36 მეტრ სიღრმეზე, სწორი მოედანია, სადაც ეზიდებიან ქვიშას, ხრეშსა და ღორღს. ამათგან კეთდება საფილტრაციო ბალიში, რომელსაც დაეყრდნობა ჰესის შენობის საძირკველი. პირველი კუბური მეტრი ბეტონი ჰიდროსადგურის შენობის საძირკველში ჩაისხმება 31 აგვისტოს, მშენებლობის მეოთხე წლისთავის დღეს. ეს საპატიო უფლება შეჯიბრების პირობათა მიხედვით მიენიჭება მებეტონეთა საუკეთესო ბრიგადას.

ვოლგაზე მონტაჟდება საბაგირო გზა. მის მშენებლობაზე მემონტაჟეთა და მაღლა მომუშავეთა ამხ. მაზინის, ანტოხინის, კლიმოვისა და ოვჩინიკოვის ბრიგადები 100 მეტრ სიმაღლეზე დგამენ მრავალტონიან ფოლადის ფერმებს. ძნელი და რთული სამუშაოა. მაგრამ მშენებლები ყოველდღე გადამეტებით ასრულებენ თავიანთ ნორმებს. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა ვოლგაზე საბაგირო გზის მონტაჟი დაამთავრონ მშენებლობის მეოთხე წლისთავისათვის.

ამ უკანასკნელ ხანს სტალინგრადის ჰიდრომშენებლებმა მთელი რიგი შრომითი გამარჯვებანი მოიპოვეს. გადაჭარბებით შესრულებულია გასული თვის გეგმა. კოლექტივმა კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწია აგვისტოს პირველ დეკადაში. ბევრი სამმართველო წინ უსწრებს გრაფიკს 3-4 დღით. წინ არიან მეექსკავატორები და ჰიდრომექანიზატორები, რომლებიც მუშაობენ სანაოსნო არხის მშენებლობაზე.

## უმჯობესდება საათების ხარისხი

საათის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აუმჯობესებს საათის დამზადების ტექნოლოგიას. ინსტიტუტის დახმარებით ხდება „პობედას" მარკის საათების დეტალების დამუშავებისას ყველაზე შრომატევადი ოპერაციების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. შემოწმებულია ასი სხვადასხვა ტიპის ჩარხების მუშაობის სიზუსტე. „პობედას" მარკის საათების დამზადების დრო ჩვენი ქვეყნის ქარხნებში წელს 25 პროცენტით მცირდება.

ინსტიტუტმა შეასრულა მუშაობა ახალი უჟანგავი შენადნობების შესაქმნელად, რომლებიც 20-25-ჯერ უფრო გამძლეა, ვიდრე ის ფოლადი, რომელსაც დღემდე იყენებდნენ საათის წარმოებაში. მარეგულირებელი მექანიზმის ბეწვებისათვის განკუთვნილი მეორე შენადნობი შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს ტემპერატურის ცვალებადობის გავლენა საათის მუშაობის სიზუსტეზე. იქმნება გადიდებული ხანგრძლივობის უჟანგავი ზამბარები.

საათის ნორმალური მუშაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საცხებ მასალას. ინსტიტუტში შემუშავებულია ზეთები, რომლებიც განირჩევა მაღალი თვისებებით: ისინი არ მჟავდება და არ იორთქლება, არ სქელდება მთელი რიგი წლების მანძილზე. ზეთების ზოგიერთი სახეობა უძლებს 70 გრადუსამდე გაცივებას. „ზარიას" მარკის მცირეგაბარიტიანი მაჯის საათებისათვის შემუშავებულია შემცირებული სიბლანტის სპეციალური საცხები მასალა. (საკდესი).

## ავტომანქანები ლიტვიდან — აკმოლინსკის ოლქში

ვილნიუსი. (საკდესი). შაულიაისა და კაუნასის სადგურებიდან აკმოლინსკის ოლქში გაიგზავნა ორი ეშელონი ავტომანქანები მისაბმელებიანად. ავტოსატრანსპორტო კანტორებმა ყაზახეთის ყამირ მიწებზე გაგზავნეს 150 ავტომანქანა მარცვლეულის გადასაზიდად.

კოლონებს თან ახლავს მოძრავი სარემონტო სახელოსნოები, ტექნიკური ბრიგადები მექანიკოსისა და ორი-ოთხი ზეინკლის შემადგენლობით, დისპეტჩერები.

ლიტვის სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ ყამირ მიწებზე სამუშაოდ გამოყო საუკეთესო მძღოლები. მანქანები მომარაგებულია სათადარიგო ნაწილებით.

## ახალი თევზის კომბინატი

ვენტსპილსი (ლატვიის სსრ). (საკდესი). მდინარე ვენტის მარჯვენა ნაპირზე აგებულია შენობა ახალი თევზის კომბინატისა, რომელიც ლატვიაში ერთ-ერთი უდიდესი იქნება. უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ საწარმოს პირველი რიგი — ელექტროსადგური, მაცივარი და მიმღები სამქრო, რომლებიც აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით. მთავრდება საკონსერვო, შესაბოლავი და სასოუსე საამქროების მოწყობა.

თევზკომბინატის მაცივარი უშვებს გაყინულ ვირთევზასა და ქაშაყს. გუშინწინ ლენინგრადს გაიგზავნა სამი ვაგონი გაყინული ქაშაყი.

## სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

### ფრთოსანი თანაშემწეები

ვერცხლისფერი ფრთებით ბრწყინავს მზეზე პატარა თვითმფრინავი. მეორე, უფრო დიდი მანქანა დადგმულია ღია ბაქანზე სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონთან. ეს არის სპეციალური გამოყენების ავიაციის სამმართველოს თვითმფრინავები „პო-2" და „ან-2".

პავილიონში მთელი დარბაზია გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მუშაობის საჩვენებლად. დღის განმავლობაში დარბაზში მოდის ათასობით ექსკურსანტი. აქ იყვნენ კიევის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, სტალინგრადის, ყირიმისა და მთელი რიგი სხვა ოლქების წარმომადგენლები.

ექსკურსანტთა ჯგუფი ათვალიერებს თვითმფრინავს, რომელიც დადგმულია აქვე დარბაზში. ლაპარაკობს სპეციალური გამოყენების ავიაციის სამმართველოს უფროსი ინჟინერი მ. ე. ტიუტიუნიკი.

— საავიაციო სამუშაოთა მოცულობა სოფლის მეურნეობაში წლითიწლობით იზრდება, — ამბობს იგი. — თუ 1940 წელს ავიღებთ ას პროცენტად, 1950 წელს იგი გადიდდა 380 პროცენტამდე, 1953 წელს მიაღწია 640 პროცენტს, ხოლო მიმდინარე წელს საავიაციო სამუშათა მოცულობა რვაჯერ და მეტად გადიდდა.

— რა საწარმოო პროცესებს ასრულებს სოფლის მეურნეობაში ამჟამად ავიაცია? — ეკითხებიან ექსკურსანტები ინჟინერს.

— აი შეხედეთ, — მიუთითებს ტიუტიუნიკი სტენდზე. — აქ ნაჩვენებია თვითმფრინავების მოქმედება ნათესებში სასუქის შეტანის, სარეველას მოსპობის, მანქანით მოსავლის აღების წინ ბამბის მცენარისათვის ფოთლების გაცლის დარგში. ეფექტიან ბრძოლას ეწევა ავიაცია ბაღებისა და ვენახების, მარცვლეული კულტურების, ბამბის მცენარის, შაქრის ჭარხლისა და ბევრი ბალახის მავნებლების წინააღმდეგ. თვითმფრინავებით თესავენ საქსაულს უდაბნოში, ბრინჯსა და ასრულებენ ბევრ სხვა სამუშაოს.

გამოფენის მონაწილენი არიან სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავები, რომლებიც ყირიმის ოლქს უწევენ მომსახურებას. სამი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათ დაამუშავეს 224 ათასი ჰექტარი. თვითმფრინავებიდან ხორბლის ნათესებში სასუქის შეტანის მეოხებით ყირიმის ოლქის საბჭოთა მეურნეობებში ამ კულტურის მოსავლიანობა ჰექტარზე 2,6 ცენტნერით გადიდდა.

ექსკურსიამძღოლი მსმენელებს მიუთითებს სტენდებზე, სადაც ნაჩვენებია პოლტავის ოლქის გლობინის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საშემოდგომო კულტურების ნათესებში ჰაერიდან სასუქის შეტანის ეფექტიანობა. უსასუქოდ ჰექტარზე მოვიდა 18 ცენტნერი ხორბალი; იმ ნაკვეთებზე, სადაც სასუქი ხელით შეიტანეს, მოსავალი გადიდდა 20 ცენტნერამდე; მინდვრებში, სადაც სასუქი შეტანილ იქნა თვითმფრინავებიდან, თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 22 ცენტნერი ხორბალი.

შაქრის ჭარხლის ნათესებში ფესვგარეშე სასუქის შეტანა შაქრის გამოსავალს ადიდებს 4,5 ცენტნერით ჰექტარზე, ბამბის მოსავალს კი 5-10 პროცენტით.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა შეიმუშავა სპეციალური აპარატურა და მეთოდები სოფლის მეურნეობაში ავიაციის გამოსაყენებლად, რომლებიც ხელს უწყობენ მოსავლიანობის გადიდებას და მცენარეების დაცვას მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან.



მოსკოვი. ქვის ხიდისა და კრემლის ხედი.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ფართოდ დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება

# კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამოფენიდან დაბრუნდა

სოფელში ხმა დაირხა, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის მონაწილე საქართველოს დელეგაცია დაბრუნდაო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოსკოვში გასამგზავრებლად აცილებდნენ, კოლმეურნეებმა უთვალავი სალამი დააბარეს რუს და უკრაინელ, ტაჯიკ და სომეხ, თურქმენ და ლიტველ ძმებთან. მას უნდა ენახა მილიონთა ნახელავი, გასცნობოდა მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას, ესწავლა ამ ნამდვილად სახალხო უნივერსიტეტში.

მარცვლეულის მეურნეობა წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წამყვანი დარგია. არხილოსკალოელებმა შირაქის უხვ მიწაზე მოყვანილი პურით შორს გაითქვეს სახელი და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება მოიპოვეს. არხილოსკალოს კოლმეურნეობა ერთადერთია, რომელიც საქართველოს პავილიონის სტენდებზე წარსდგა პურის წარმოებაში მოპოვებული საამაყო მაჩვენებლებით.

მოსკოვში გამგზავრების წინ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. ქავთარაძემ, მთელმა აქტივმა ერთხელ კიდევ შეაჯამეს წლევანდელი შედეგები. ჰექტარზე საშუალოდ 21 ცენტნერი პური! — ეს კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შემოქმედებითი შრომას მოწმობს. აქ ავანსად შრომადღეზე 7-8 კილოგრამ მარცვლეულს ანაწილებენ, წლის ბოლოსათვის შრომადღის ხვედრი 10 კილოგრამამდე გაიზრდება.

წლების მანძილზე კოლმეურნეობაში აღიზარდა პურის მაღალი მოსავლის მრავალი შესანიშნავი ოსტატი, რომელნიც წარმოებაში გაბედულად ნერგავენ აგროტექნიკის მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებას. ახლის, პროგრესულის ძიების გზაზე იქედება გამარჯვება. ამიტომ ბუნებრივი იყო ღელვა, რომელიც გამოხატეს კოლმეურნეებმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან დაბრუნებულ თავმჯდომარესთან შეხვედრისას. მან ხომ საკუთარი თვალით ნახა სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მიღწევები, გაეცნო მოსავლიანობის ამაღლების მათს ხერხებსა და გზებს!

...საკოლმეურნეო კლუბი ხალხს ვეღარ იტევდა. მინდვრებიდან მოვიდნენ კოლმეურნეები, მექანიზატორები, მტს-ისა და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. შეხვედრა დაიწყო. სიტყვა ივანე ქავთარაძემ აიღო.

* * *

— ეს მეორედ მხვდა ბედნიერება, — თქვა მან, დავესწრებოდი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას მოსკოვში, მაგრამ რაც ახლა ვნახე, თავისი მასშტაბით, ორიგინალობით, ექსპონატების სიუხვით და მხატვრული გაფორმების სიმდიდრით ბევრად აღემატება წინანდელს.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო უკრაინის რესპუბლიკის პავილიონმა, რომელიც უაღრესად ლამაზი არქიტექტურული ნაგებობაა.

პავილიონში უხვად არის წარმოდგენილი მემცენარეობა, განსაკუთრებით პური. მთელ დღეს არ მოვცილებივარ უკრაინის პავილიონს. განსაკუთრებით დამაინტერესა ხარკოვის ოლქის ლოზოვაიას რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წარმატებებმა. ამ კოლმეურნეობამ 1.200 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 38 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა. პურის მოსავლიანობის გაზრდის მდიდარი გამოცდილება აქვთ ზაპოროჟიესა და ოდესის ოლქის კოლმეურნეობებს, რომელნიც ჰექტარზე 20-23 ცენტნერ ხორბლის მოსავალს უზრუნველყოფენ.

გამოფენის გახსნის მეორე დღეს „პრავდაში“ წავიკითხე ბ. გალინის ნარკვევი. მწერალმა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას სახალხო უნივერსიტეტი უწოდა. ამ სიტყვებში მთელი ხალხის გულისთქმაა ჩაქსოვილი. გამოფენა მართლაც ნამდვილი სახალხო უნივერსიტეტია თავისი მრავალრიცხოვანი ფაკულტეტებით სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა სფეროდან, ხოლო მასწავლებლები და ლექტორები არიან მოწინავენი და ნოვატორები, რომლებიც მოგვითხრობენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებაზე.

ერთ-ერთმა ასეთმა ლექციამ, რომელიც როსტოვის ოლქის სალსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ალექსანდრე ჩეხოვსკიმ წაიკითხა ძლიერ დამაინტერესა. ლექციის მოსმენის შემდეგ თვალწინ დამიდგა ჩვენი კოლმეურნეობის მთელი ავკარგი. ბევრი საყურადღებო შენიშვნა ჩავიწერე, განსაკუთრებით შრომის ორგანიზაციისა და მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე.

ლექციები და საუბრები თითქმის ყოველდღე იმართებოდა, უმეტესად უბრალო ადამიანების — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, რიგითი წევრებისა და მექანიზატორთა ძალებით. გამოფენის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს კოლმეურნეობათა ცნობილი თავმჯდომარეების პუზანჩიკოვის, მალინინას, პროზოროვის, გენერალოვის, სახელგანთქმული მექანიზატორის შალკის, ქისტაურელი მეაბრეშუმის ო. აივაზაშვილის ლექციები და მოხსენებები.

ჩვენმა დელეგაციამ სპეციალურად ინახულა ურალის პავილიონი, სადაც ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უკავია კოლმეურნე-მეცნიერის სტალინური პრემიის ლაურეატის ტერენტი მალცევის ექსპონატებს.

მიჩურინულ მოძღვრებაზე დაყრდნობით ტ. მალცევმა ახალი სიტყვა თქვა სოციალისტურ მიწათმოქმედებაში. მან პრაქტიკული გამოცდილებით დაამტკიცა, რომ რაც უფრო მეტია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, მით უფრო იზრდება ნიადაგის ნაყოფიერება.

ტ. მალცევის ცდებიდან განსაკუთრებით დამაინტერესა ნიადაგის დამუშავების სისტემამ. საცდელი სადგური, რომელსაც ტ. მალცევი ხელმძღვანელობს, ანეულს ღრმად ხნავს უფრთო გუთნებით. შემდეგ სამიოთხი წლის განმავლობაში მოუხნავად, ნაწვერალის აოშვით თესავს მარცვლეულ და ზეთოვან კულტურებს. უფრთო გუთნებით ხვნა, როგორც ეს სადგურმა ცდებით დაამტკიცა, ნიადაგის სხვადასხვა ფენას ძველ დონეზე ტოვებს, ამცირებს მისი სტრუქტურის მექანიკურ დაროღვევას, სპობს სარეველებს და უნარჩუნებს ტენს.

კარგი იქნება, რომ ტ. მალცევის მიერ შემუშავებული ნიადაგის დამუშავების სისტემა უფრო ღრმად შევისწავლოთ ჩვენი კოლმეურნეობის პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

...მომხსენებელი ცოტა ხანს შეჩერდა, [illegible] ცა, რომელიც ოთამდე ერთ ძროხაზე 5.303 კილოგრამ რძეს წველიდა. ომისშემდგომ წლებში წველადობამ 6.000 კილოგრამს გადააჭარბა. ასეთი მწველავები ამ კოლმეურნეობას მრავალი ჰყავს. ე. კურდიუკოვას აღზრდილმა ანტონინა ორლოვამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება აქვს მინიჭებული, ბევრად გაუსწრო თავის მასწავლებელს. სოციალისტური შრომის გმირი ანა ასტახოვა თვითეულ ძროხაზე ლაქტაციის პერიოდში 5.000 კილოგრამ რძეს წველის. ხუთიათასოვნები არიან ამ კოლმეურნეობის მწველავები პიტკოვა, ჩისტიაკოვა, ერმაკოვა, ცირკოვა და გუშჩინა.

* * *

ერთხმად მიღებულ დადგენილებაში არხილოსკალოს კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველებმა, მეცხოველეობის მუშაკებმა და სპეციალისტებმა იკისრეს კიდევ უფრო აამაღლონ მიწათმოქმედების კულტურა, წარმოებაში მტკიცედ დანერგონ თესვის მოწინავე, პროგრესული წესები, გაადიდონ პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

დადგენილებით გათვალისწინებულია წელს 2.100 ჰექტარის ნაცვლად დათესონ 3.000 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი. მთელი ფართობი მოხნან 27-30 სანტიმეტრ სიღრმეზე, სასუქები შეიტანონ 3.000 ჰექტარ ფართობში შემდეგი დოზით: ჰექტარზე 200-300 კილოგრამი სუპერფოსფატი და 100-150 კილოგრამი კალიუმის მარილი. **თესვა მოაწყონ მთლიანად ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად.** აგროტექნიკის მთელი კომპლექსის განხორციელებით უზრუნველყონ **ჰექტარზე 22 ცენტნერი პურის მიღება.**

კოლმეურნეობა დამატებით გააშენებს 12 ჰექტარ ახალ ვენახს და ვენახის მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყოფს 65 ცენტნერი ყურძნის მიღებას.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის გათვალისწინებულია სამი კულტურული ბინის აშენება, თვითეული 100 სული პირუტყვისათვის. პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესების მიზნით წელს კოლმეურნეობა შეიძენს 50 სულ მსხვილფეხა მაღალპროდუქტიულ ძროხას. პირუტყვის საკვებად დაამზადებენ 300 ტონა ქერს, 300 ტონა სიმინდს, თვითეულ ძროხაზე — 5-6 ტონა სილოსს და საკმარისზე მეტ უხეშ საკვებს.

**გ. ოქრუაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ქავთარაძე კოლმეურნეებს მოუთხრობს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შეძენილი გამოცდილების შესახებ. ფოტო გ. ვახტანგაძისა.

მივცეთ სამშობლოს მეტი ლითონი

# 11 დღეში — 111 ჩქაროსნული დნობა

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ, მას აქედან, ისევ გააუარესა მუშაობა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის წამყვანმა საამქრომ — მარტენის საამქრომ, რომლის მუშაობაზეც ძირითადად დამოკიდებულია საგლინავი საამქროების — ბლუმინგის, მილნამზადისა და მილსაგლინავი საამქროების მუშაობა. ივნისისა და ივლისის გეგმები შეუსრულებელი დარჩა. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საამქროს არ ჰქონდა ძირითადი ნედლეული — თუჯი, ურომლისოდაც შეუძლებელია ფოლადის მიღება.

მას შემდეგ, რაც მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი საამქრო, რაც საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ბრძმედი და რუსთავში თვითონ იწყეს თუჯის დამზადება, მკვეთრად გაუმჯობესდა მეფოლადეთა მომარაგება ნედლეულით. ამის შედეგად ივლისში უკვე ჰქონდათ თუჯი, მაგრამ დავალება მაინც გაუნაღდებელი დარჩა იმის გამო, რომ წინა თვეების დაუტვირთავმა მუშაობამ შეანელა ტემპი, დაარღვია რიტმი, შეარყია შრომის დისციპლინა.

ივლისის ბოლოდან მეფოლადეებმა უკვე იწყეს გამართული მუშაობა. აგვისტოში კი საქმე ისე მიდის, როგორც დღემდე არასოდეს. თერთმეტი დღის დავალების გადამეტებით გამოშვებულია ათასობით ტონა ფოლადი. გაიზარდა ჩქაროსნული ნადნობების რაოდენობა. მან ქარხნისათვის სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია. ყველა ნადნობთა 79 პროცენტი ჩქაროსნული წესით არის გამოშვებული. საგრძნობლად შემცირდა ფოლადის გამოდნობის დრო. თერთმეტ დღეში თვითეული დნობის საშუალო ხანგრძლივობამ გეგმით გათვალისწინებული 10 საათისა და 17 წუთის ნაცვლად შეადგინა 9 საათი და 11 წუთი.

განსაკუთრებით მაღალი წარმატებები მოიპოვეს ჩვენმა სახელოვანმა მეფოლადეებმა ამირან ფანცულაიამ და ივანე მეტრეველმა, რომლებიც მარტენის მეორე ღუმელზე მუშაობენ. აგვისტოს პირველ დეკადაში მეფოლადე ფანცულაიას მიერ გამოშვებული თითქმის ყველა დნობა ჩქაროსნული იყო, ხოლო მეტრეველმა ექვსი ჩქაროსნული დნობა განახორციელა. ამ თვეში დნობის ყველაზე შემჭიდროებული დრო — ექვსი საათი და 55 წუთი — აჩვენა მეფოლადე პეტრე ბაირაკოვმა. კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე სხვა მეფოლადეებს.

ფოლადმდნობელებმა განახორციელეს მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. აქედან მეტად მნიშვნელოვანია დამხმარე ოპერაციების გრაფიკის შემოღება. თუ აქამდე წინასწარ განსაზღვრული იყო ნადნობის გამოშვების მხოლოდ რამდენიმე მთავარი მომენტი, ახლა ადრევე ცნობილია ყველა დამხმარე ოპერაციის მომზადების დრო, და მთელი კოლექტივი იბრძვის მისი ზუსტად დაცვისათვის.

ოპერაციების გრაფიკი უზრუნველყოფს დნობის ნორმალურად წარმართვასა და ნადნობის სწრაფად გამოშვებას. ამ გრაფიკის [illegible] მუშაობაზე ადასტურებს ზემოთ უკვე მოყვანილი ფაქტი, რომ დნობის საშუალო ხანგრძლივობა ერთ საათზე მეტი დროთი შემცირდა.

ლითონის წუნისა და დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა მეტალურგთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მის წარმატებით გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებს ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესება, სრულყოფა. წინა წლებთან შედარებით აგვისტოში სანახევროდ და უფრო მეტად შემცირდა წუნი. ეს იმის შედეგია, რომ აქ შეცვალეს არხის ქვეშების აწყობის ტექნოლოგია, ხსნარების ნაცვლად ახლა ფხვიერ მასალებს იყენებენ, ე. წ. მშრალად აწყობის მეთოდი დანერგეს. ამ ღონისძიების განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანა ბოყვების ეზოს უფროსმა ოსტატმა ს. სიხარულიძემ. მიმდინარეობს მუშაობა არხების აწყობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ღუმელების წარმადობის ზრდას.

წუნისა და დანაკარგების შემცირებაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეორე საკითხის გადაწყვეტას, ჩამოსასხმელ ციცხვში თხევადი ფოლადის წონის განსაზღვრას. იგი საშუალებას იძლევა წინასწარ სწორად განაწილდეს ჭურჭელში — ბოყვებში ლითონი. თუ წონაში დააკლდა, წუნია. ამჟამად დაწესებული ახალი ხერხის დახმარებით შეიძლება ციცხვში ფოლადის რაოდენობის ზუსტად დადგენა.

წარმოების შემდგომ სრულყოფაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში დიდ როლს ასრულებენ საამქროს მოწინავე ადამიანები, ნოვატორები. ნადნობის სასამსხმელო მალის უფროსის ა. იოხვიდოვიჩისა და ოსტატის პერტენავას წინადადებით ახლებურად ხდება ციცხვში ცეცხლგამძლე აგურის წყობა, რამაც მკვეთრად გაზარდა ციცხვის მუშაობის ხანგრძლივობა. თვითეულ ციცხვს 7-ის ნაცვლად 10-11-ჯერ შეუძლია დნობის მიღება. ეს ღონისძიება წლიურად ნახევარ მილიონ მანეთს უზოგავს ქარხანას.

მეტად დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა აგრეთვე ბოყვების ზესადგრის მოყვანილობის გაუმჯობესება. თუ მანამდე, ზესადგარის ძველებური მოყვანილობის დროს, სხმულის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამონაჭრების სახით მიდიოდა, ახლა ჩამონაჭრების რაოდენობა 2 პროცენტამდეა დაყვანილი, რაც წელიწადში სამი მილიონი მანეთის ეკონომიას მისცემს წარმოებას.

მიუხედავად სერიოზული წარმატებებისა, მარტენის საამქროში წარმოების ყველა რეზერვი როდია ამოქმედებული. მაგალითად, მოწინავეთა გამოცდილების შესწავლას და ფართოდ გავრცელებას, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდის მძლავრი საშუალებაა, ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა.

მეფოლადეთა ღირსების საქმეა იბრძოლონ იმისათვის, რომ გამოასწორონ წინა თვეების ჩამორჩენა, დაფარონ დანაკლისი, წარმატებით შეასრულონ წლიური სახელმწიფო დავალება.

**ს. ხარაზიშვილი.**

# ქრისტიანობის წარმოშობა და კლასობრივი არსი

**პროფ. ა. გაგარინი,**
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.

მარქსიზმ-ლენინიზმმა უაღრესი მეცნიერული ობიექტურობითა და სიღრმით ცხადყო ყოველგვარი რელიგიისა და მორალის, მათ შორის ქრისტიანული რელიგიისა და მორალის წარმოშობის კლასობრივი ფესვები. ამასთან ერთად იგი ამხილებს ქრისტიანულ მსოფლმხედველობას და ქრისტიანობის მონურ მორალს, რომლებსაც იმპერიალიზმი ფართოდ იყენებს როგორც მშრომელთა სულიერი დამონების, მათი კლასობრივი სიფხიზლის მოდუნების საშუალებას.

თვითეული რელიგია, მათ შორის ქრისტიანულიც, ფანტასტიკური, ანტიმეცნიერული ასახვაა მორწმუნე ადამიანთა შეგნებაში ბუნებისა და საზოგადოების ისეთი მოვლენებისა, რომლებიც მათთვის გაუგებარია და რომლებიც მათ წარმოუდგებათ როგორც „ღვთის ყოვლისშემძლე ნებით“ მოქმედ რაღაც არაამქვეყნიურ ძალთა ზებუნებრივი გამოვლინება. ცნობილია, რომ წინააღმდეგ მეცნიერებისა ყოველი რელიგია ღმერთს აცხადებს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების წყაროდ და მორწმუნეებს უნერგავს მავნე, ანტიმეცნიერულ აზრს, რომ ღმერთი ქმნის ისტორიას, რომ ღმერთისაგან არის ომები, გაღატაკება, ავადმყოფობა, რომ ღვთის ნება თუ არ იქნა, ბეწვიც კი არ ჩამოვარდება ადამიანის თავიდან და ა. შ. ექსპლოატატორული კლასები ფართოდ იყენებენ თავიანთი მიზნებისათვის ამ ანტიმეცნიერულ და ანტირევოლუციურ, მონურ რელიგიურ მსოფლმხედველობას.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ყველა და ყოველ მჩაგვრელ კლასს თავისი ბატონობის დასაცავად სჭირდება ორი სოციალური ფუნქცია: ჯალათის ფუნქცია და ხუცესის ფუნქცია. ჯალათმა უნდა ჩაახშოს ჩაგრულთა პროტესტი და აღშფოთება. ხუცესმა უნდა ანუგეშოს ჩაგრულნი, დაუხატოს მათ... გაჭირვებისა და მსხვერპლის შემსუბუქების პერსპექტივები და ამით შეარიგოს ისინი ამ ბატონობასთან, მოაშლევინოს მათ რევოლუციური მოქმედება, შეარყოს მათი რევოლუციური განწყობილება, გატეხოს მათი რევოლუციური გამბედაობა“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 21, გვ. 272).

ჩაგრულთა „ნუგეშისმცემლის“ ფუნქციას, რომელიც არიგებს მათ ექსპლოატატორებთან, ხელს უწყობს ექსპლოატატორული წყობილების განმტკიცებას და მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის შესუსტებას იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალია გაბატონებული, ასრულებდა და ამჟამადაც ასრულებს ყველა რელიგია და მათ შორის ქრისტიანობაც.

## ქრისტიანობის გაჩენა

მეცნიერულად რომ გავიგოთ ქრისტიანობის წარმოშობა, საჭიროა ანალიზი გავუკეთოთ კლასთა ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას ქრისტიანობის გაჩენისა და შემდგომი განვითარების პერიოდში.

ძირითადი სოციალური მიზეზი, რამაც ცხრამეტ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გამოიწვია ქრისტიანობის გაჩენა, იყო უუფლებობა მონებისა და ბევრი ხალხისა, რომლებიც მონათმფლობელური რომის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდნენ.

სხვადასხვა ტომის, ეროვნების, რასის მონები, რომელთა ძირითადი მასა რომაელ დამპყრობლებს ხელში ჩაგდებული ჰყავდათ მრავალი ომის შედეგად, იტალიასა და საბერძნეთში მთავარ მუშახელს შეადგენდნენ. იყო ქალაქები, სადაც ერთ თავისუფალ ადამიანზე საშუალოდ 18 მონა მოდიოდა. მონები, რომლებიც დიდი ქალაქებისა და მონათმფლობელური მამულების მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ და მოკლებული იყვნენ სამშობლოს, მშობლიურ კულტურას, ენასა და რელიგიასაც კი, რომის მიერ აკლებულ და დამონებულ ხალხებთან ერთად ეძებდნენ გამოსავალს უუფლებო მდგომარეობიდან. ამ საფუძველზე მანამდე, სანამ ქრისტიანობა გაჩნდებოდა, თავს იჩენდა ხოლმე მასობრივი უკმაყოფილება და ხდებოდა მონების, გაჩანაგებული და დამონებული ხალხების სტიქიური აჯანყებანი, რომლებმაც ძირფესვიანად შეარყიეს რომის მონათმფლობელური იმპერია. მონების დიდი აჯანყებები ხდებოდა სიცილიაში, მცირე აზიაში. ისინი ჩაქრობილ იქნა. ზოგიერთ ხალხს, მაგალითად, ებრაელებს, რომმა წაართვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მთელ იმპერიაში გაფანტა. იუდეველთა სახელმწიფოს დედაქალაქი იერუსალიმი დაანგრიეს.

ყოველივე ეს დაცემულობის მსოფლმხედველობისა და ანტირევოლუციური მორალის წყარო იყო. მონებს და რომის მიერ დამონებულ ხალხებს მათი მრავალი აჯანყების დამარცხების შემდეგ იმედად რჩებოდათ მხოლოდ ღვთის ზებუნებრივი დახმარება ან ძე ღვთისა (მესია ანუ ქრისტე — „ღვთით მირონცხებული და ძე ღვთისა“), რომელიც თითქოს განახორციელებდა დამონებული ადამიანებისა და ხალხების ოცნებას „ოქროს ხანაზე“, „კრონოსის მეფობაზე“, „დედამიწაზე ღვთის სასუფეველზე“, ყველა ადამიანის — მონებისა და თავისუფლების, იუდეველებისა და რომაელების, ბარბაროსებისა და ბერძნების თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის ათასწლოვან ხანაზე. აი ასეთ ვითარებაში ჩაისახა თავდაპირველი ქრისტიანული მოძრაობა რომის იმპერიაში. იგი წარმოიშვა როგორც სტიქიური მოძრაობა „მონებისა და აზატებისა, ღარიბებისა და უუფლებოებისა, რომის მიერ დამორჩილებული ან გაფანტული ხალხებისა“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტომი XVI, ნ. II, გვ. 409).

ხალხთა და მონათა რევოლუციური ბელადების (სპარტაკის და სხვების) დამარცხება იწვევდა იმას, რომ ისინი კარგავდნენ საკუთარი ძალების რწმენას და ამყარებდნენ იმედს მხოლოდ ღვთის ზებუნებრივ დახმარებაზე, ხელს იღებდნენ რევოლუციურ ბრძოლაზე.

ევანგელისტური ქრისტიანობის მსოფლმხედველობასა და მორალზე ყველაზე მეტი გავლენა მოახდინა ძველი ბერძენი რეაქციონერი ფილოსოფოსის პლატონისა და მისი მიმდევრის — ებრაელი მოაზროვნის ფილონ ალექსანდრიელის ფილოსოფიურმა და რელიგიურმა შეხედულებებმა. სულის უკვდავების რწმენისა და მორალის დარგში უდიდესი გავლენა მოახდინა რომაელი სტოიკების და განსაკუთრებით სენატორ სენეკას და ყოფილი მონის ეპიქტეტის მოძღვრებამ, აგრეთვე რომის იმპერიის მრავალრიცხოვანი რელიგიების რწმენა-შეხედულებებმა, რაც მახარობლებმა ისესხეს და არარსებულ ქრისტეს მიაწერეს.

## იყო თუ არა ქრისტე?

ქრისტიანობა შექმნეს მასებმა ქრისტეს შესახებ ლეგენდასთან ერთად. ქრისტე, როგორც ისტორიული პიროვნება, რომ არ ყოფილა, ამას მოწმობს დუმილი ქრისტეს შესახებ ადრინდელი ქრისტიანობის მრავალი თანამედროვისა, მათ შორის ბერძენი ისტორიკოსის პლუტარხისა, ისტორიკოს ტაციტისა, იოსებ ფლავიუსისა და სხვ.

შემდეგში ამ ნაწარმოებთა ქრისტიანი გადამწერლები ცდილობდნენ შეეტანათ იქ დამატებანი ქრისტეს შესახებ, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებამ ამხილა შემდგომი დროის ეს ჩანაწერები რომაელ, ბერძენ და ებრაელ ისტორიკოსთა ტექსტებში.

ქრისტეს ისტორიული არსებობისადმი რწმენის განსამტკიცებლად რომაელმა ბერმა დიონისემ ჩვენი წელთაღრიცხვის მხოლოდ 532 წელს წამოაყენა წინადადება პირობითად ჩაეთვალათ, რომ ქრისტე იშვა 753 წელს რომის დაარსებიდან. ამრიგად, ჩვენი წელთაღრიცხვას მხოლოდ VI საუკუნეში დაიწყო წელთაღრიცხვა „ქრისტეს შობიდან“. ეს წელთაღრიცხვა გერმანიასა და საფრანგეთში მიღებულ იქნა მხოლოდ XVII საუკუნიდან, ხოლო რუსეთში — 1700 წლიდან. მანამდე ქრისტიანები წელთაღრიცხვას აწარმოებდნენ „დასაბამიდან ქვეყნისა“ (რომელსაც, უნდა ითქვას, დასაბამი არ ჰქონია, არამედ იგი მარად არსებობდა).

თვითონ მახარობლებსაც არ შეეძლოთ ზუსტად დაესახელებინათ თავიანთი ღმერთის დაბადების წელი, რადგან ასეთი დაბადება ნამდვილად არ მომხდარა. მაგალითად, ლუკა ამბობს, რომ ქრისტეს პირველი საზოგადოებრივი გამოსვლა მოხდა იროდის, ანტიპას და კვირინიუსის დროს, მღვდელმთავრების ანას და კაიაფას დროს. ნამდვილად კი კვირინიუსი გარდაიცვალა 60 წლით ადრე იმ თარიღამდე, რომელიც მახარობლებმა ქრისტეს გამოსვლისათვის გამოიგონეს, ხოლო იერუსალიმში ერთსა და იმავე დროს არასოდეს არ ყოფილა ორი მღვდელმთავარი. მახარობლები იხსენიებენ ქალაქებს: ნაზარეთს (დაარსებულია 130 წლით გვიან ქრისტეს „შობის“ შემდეგ), კაპერნაუმს, ბეთსაიდას, ხორაზინს, რომლებიც პალესტინაში იმ დროს ან არ არსებობდა, ანდა დაარსებულ იქნა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე ქრისტე „იშვა“.

მითიურ ქრისტეს მახარობლები მიაწერენ სრულიად საწინააღმდეგო მსჯელობებს, ვინაიდან ადამიანებს, რომლებმაც სხვადასხვა დროს შექმნეს სახარების ლეგენდები, სხვადასხვა შეხედულებანი ჰქონდათ მშვიდობასა და ომზე, ქონების საერთოობასა და საკუთრებაზე. ამიტომ მათი ქრისტე ხან მშვიდობის მომხრედ გამოდის (სახარება მათესი, თავი 27), ხან ამბობს, რომ მან ქვეყნად მოიტანა არა მშვიდობა, არამედ მახვილი (იქვე). სახარებაში ქრისტე ხან ხოტბას ასხამს ღარიბებს და აცამტვერებს მდიდრებს, ხან ამბობს, რომ ნორმალურად უნდა ჩაითვალოს მოვლენა, როცა ყოველს, ვისაც აქვს, უნდა მიეცეს და მიემატოს, ხოლო უქონელს უნდა წაერთვას ისიც, რაც აქვს (იქვე, თავი 25, მუხლი 29). იგი ხან ქადაგებს, რომ მდიდარი ვერ შევა „სასუფეველსა ცათასა“, თუ არ დაურიგებს თავის ქონებას ღატაკებს, ხან აქებს კერძო საკუთრებას, სიმდიდრის დაგროვებას. ყოველივე ეს ასახვაა სხვადასხვა დროის სხვადასხვა საწინააღმდეგო კლასობრივი შეხედულებებისა, რომლებიც გადატანილია სახარებაში. იქ ღატაკიც და მდიდარიც საკმაოდ ბევრს იპოვნის თავისთვის მისაღებ გამოთქმებს.

ადრინდელ ქრისტიანობაში (იოანეს „გამოცხადება“, „საქმე მოციქულთა“) ჯერ კიდევ შერჩენილია მონებისა და დამონებული ხალხების პროგრესულ-დემოკრატიულ შეხედულებათა ნაშთები.

მაგრამ საკმაოდ მალე მონების ქრისტიანული თემები გაივსო ადამიანებით, რომლებსაც ქონებაც ჰქონდათ და მონებიც ჰყავდათ. გარდა ამისა, გაჩნდნენ წარმომადგენლები წვრილი მესაკუთრეებისა და მოიჯარეების კლასისა, რომელიც სოფლის მეურნეობაში ისახებოდა (კოლონები და სხვ.). ისინი პირველი ქრისტიანების — მონების ანტიმესაკუთრული და გამათანაბრებელი მისწრაფებების წინააღმდეგნი, სამომხმარებლო „კომუნიზმის“ წინააღმდეგნი და შრომისადმი იმ სიძულვილის წინააღმდეგნი იყვნენ, რომელსაც განიცდიდნენ მონები, ლუმპენ-პროლეტარები და პლატონის არისტოკრატი „მხედრები, ქურუმები და ფილოსოფოსები“.

მონათმფლობელური მეურნეობის დაშლა, პირველი ქრისტიანების იმ უტოპიური იმედის ჩაფუშვა, რომ ღმერთი ამ ქვეყნად განახორციელებდა მონებისა და დამონებული ხალხების ძმობას, თანასწორობასა და თავისუფლებას, და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შესაბამისად ისტორიულ ასპარეზზე მომავალი ფეოდალური საზოგადოების ახალი კლასების წარმომადგენელთა გამოჩენა ქმნიდა ახალ განწყობილებას, საეკლესიო ქრისტიანობის ახალ იდეოლოგიას. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ მონების ყველა ამქვეყნიური პროგრესულ-დემოკრატიული იმედების განხორციელება გადაჰქონდა **იმქვეყნიურ ცხოვრებაში, არარსებულ ზეცაზე.** ამით მონების ქრისტიანული პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა აფეთქებულ იქნა შიგნიდან, გადაიქცა მონების რელიგიად და მორალად. ამაში ძირითადი როლი სამღვდელოებამ შეასრულა. იგი ეკონომიურად, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ექსპლოატატორულ კლასებთან და ქრისტიანულ მოძრაობაში ხელმძღვანელი პოსტები ეკავა.

როცა ქრისტიანთა თემები გაიზარდნენ, მათი მართვისათვის, გარდა უხუცესების — მღვდლებისა და მათი თანაშემწეების — დიაკვნებისა, საჭირო გახდა „ზედამხედველებიც“ (ბერძნულად — ეპისკოპოსები). ქრისტიანულ

# გავაჩაღოთ ბრძოლა კაპიტალიზმის უსაზიზღრესი გადმონაშთის — ლოთობის წინააღმდეგ

— ამხანაგებო! დღევანდელი საუბრის თემაა ბრძოლა კაპიტალიზმის უსაზიზღრესი გადმონაშთის — ლოთობის წინააღმდეგ, — ასე დაიწყო საუბარი ირმა ხატისოვამ.

საბჭოთა წყობილების გამარჯვების შედეგად ჩვენში ძირეულად შეიცვალა ადამიანის სულიერი სახე, მისი მორალური თვისებები. საბჭოთა ადამიანი ყველაფერზე მაღლა აყენებს საზოგადოების ინტერესებს, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, ვინაიდან იგი არის თავისი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მისი სახელოვანი ისტორიის შემოქმედი, კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადებული მებრძოლი.

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები. ეს წესები გულისხმობენ ადამიანისადმი ადამიანის პატივისცემას, ქმნიან პირობებს იმისათვის, რომ თვითეული მშრომელი სამშობლოს საკეთილდღეო შრომას ეწეოდეს. მაგრამ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები ყველას როდი აქვს შეგნებული. საბჭოთა ხალხის დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში შეუწყნარებელია შევურიგდეთ ლოთობას, რომელიც ლახავს საზოგადოებისა და ოჯახის ინტერესებს, ასუსტებს და ამდაბლებს ცალკეული ადამიანების შემოქმედებითს აქტივობასა და შრომის დისციპლინას, ზიანს აყენებს წარმოებას.

ჩვენს სამშობლოში ალკოჰოლიზმს სოციალური ფესვები არა აქვს. მაგრამ კაპიტალიზმის ეს უბოროტესი გადმონაშთი ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

ამჟამად კომუნისტურმა პარტიამ განსაკუთრებით მწვავედ დააყენა საკითხი ლოთობის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის გაჩაღების შესახებ. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა აქტიურად დავეხმაროთ პარტიას ამ ბრძოლაში. ლოთი ადამიანი არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, დეზორგანიზაცია შეაქვს წარმოებაში და თავისი მოქმედებით ზიანს აყენებს საზოგადოებას, ოჯახს, ხელს უშლის სხვა მშრომელებს კულტურულ დასვენებაში. ლოთობა ბევრი უბედური შემთხვევის, წარმოებაში წუნისა და სამუშაოს გაცდენის წყაროა.

ლოთობა მორალური ზნედაცემულობის გამოხატულებაა, სოციალისტურ საზოგადოებაში იგი ყოვლად შეუწყნარებელია. მაგარი სასმელების სისტემატური სმა მომაკვდინებელ გავლენას ახდენს ორგანიზმზე. ალკოჰოლი, ამცირებს ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შრომის უნარს. ალკოჰოლისტის სიცოცხლე ხანმოკლეა და თითქმის ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდება.

ყველას გახსოვთ, ჩვენთან, მექანიკურ საამქროში ხარატი ა. დოლინსკი რომ მუშაობდა. დიდი ხანი არ არის, რაც იგი ქარხანაში მოვიდა. სწრაფად დაეუფლა მხეხავის პროფესიას, გადაჭარბებით ასრულებდა ყოველდღიურ ნორმას. შემდეგ საამქროში ახალი ჩარხი „დიპ-300" გამართეს. ა. დოლინსკი ახალ ჩარხზე გადაიყვანეს სამუშაოდ. მან ეს ჩარხიც სწრაფად აითვისა. მაგრამ აი, ა. დოლინსკიმ დაიწყო მაგარი სასმელების სმა. სამუშაოზე ცხადდებოდა ნასვამი, არღვევდა შრომის დისციპლინას. იგი იქამდე დაეცა, რომ მიატოვა ცოლი, რომელსაც ძუძუთა ბავშვი ჰყავს. მან საწარმოში და ოჯახში საბოლოოდ გაიფუჭა საქმე, ერთ თვეზე მეტია, რაც საავადმყოფოში წევს.

**ხმა ადგილიდან:** — დოლინსკისთანა „გადამკვრელები" ჩვენთან სხვებიც არიან. სამწუხაროდ, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებად იყენებენ იდეური ზეგავლენის ყველა საშუალებას ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**აგიტატორი:** — მართებული შენიშვნაა. ეს უნდა გავითვალისწინოთ ჩვენს მომავალ მუშაობაში. ქარხნის ახლოს რამდენიმე წლის განმავლობაში მაგარი სასმელებით ვაჭრობდა კვებვაჭრობის მაღაზია, რომელსაც მუშებმა „ყაზარას დუქანი" შეარქვეს. ამ „ყაზარას დუქანთან" ყოველთვის ნახავდით რამდენიმე კაცს. გამყიდველი ხშირად „ნისიადაც" აძლევდა მუშებს მაგარ სასმელებს. ქარხნის დამამზადებელი საამქროს მუშა ვ. ზორაქაშვილი, რომელიც 4 შვილის მამაა, ხშირად სარგებლობდა გამყიდველის „ხელგაშლილობით" და ზოგჯერ მუშების მთელ ჯგუფს პატიჟობდა. ასე რომ ყოველ თვეში მისი დავალიანება 700-800 მანეთს აღწევდა. ხელფასის მიღების შემდეგ თავისი შრომის მონაგარი, ნაცვლად იმისა, რომ ოჯახში მიეტანა, იძულებული იყო „ყაზარას დუქანში" დაეტოვებინა. ამ საქმით დაინტერესდნენ ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, პარტიის რაიონული კომიტეტი, და „ყაზარას დუქანი" დახურულ იქნა.

**თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს წითელ კუთხეში სასადილო შესვენების დროს 50-ზე მეტი კაცი შეიკრიბა. აგიტატორ ირმა ხატისოვას მორიგი საუბრის მოსასმენად მოვიდნენ საამქროს ხარატები, ზეინკლები, მხეხავები და სხვა პროფესიის მუშები.**

**ამჯერად კომუნისტმა-აგიტატორმა თავისი საუბარი მიუძღვნა თემას „გავაჩაღოთ ბრძოლა კაპიტალიზმის უსაზიზღრესი გადმონაშთის — ლოთობის წინააღმდეგ". საუბარმა დიდი ინტერესი გამოიწვია და გაცხოველებული მსჯელობის საგანი გახდა.**

**აგიტატორმა ი. ხატისოვამ კარგი, მოსაწონი საქმე გააკეთა. მაგრამ ფაბრიკის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ამით არ უნდა დაკმაყოფილდნენ. საგიტაციო საუბრები ლოთობის წინააღმდეგ ქარხნის სხვა საამქროებშიც უნდა გაიმართოს. საჭიროა სისტემატურად მოეწყოს ლექციები და მოხსენებანი ალკოჰოლის მავნებლობაზე, ამხედრდეს საზოგადოებრივი აზრი ლოთობის წინააღმდეგ. უნდა გაძლიერდეს ყურადღება და ზრუნვა მუშა-მოსამსახურეთა კულტურული დასვენების უკეთ მოწყობისათვის.**

**ხმა ადგილიდან:** — სავაჭრო მაღაზიის დახურვა არც ისე დიდი საქმეა. საჭიროა ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ამხედრება, მუშა-მოსამსახურეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაჩაღება.

**აგიტატორი:** — წინათ ქარხანაში ლოთობა ფართოდ იყო გავრცელებული. უკანასკნელ ხანებში ლოთობის შემთხვევები შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

მაგალითისათვის დავასახელებ ამწყობი საამქროს მუშას ნ. პანიკოვს. იგი ყოველთვიურად 2.000 მანეთზე მეტს იღებს. მან სიმთვრალის დროს ჩაიდინა ქურდობა და ჩირქი მოსცხო საბჭოთა ადამიანის ღირსებას, თავი შეირცხვინა და სახელი გაიტეხა როგორც კომუნისტმა. ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კრებამ ნ. პანიკოვი გარიცხა კომუნისტური პარტიის რიგებიდან. აი, რა სამწუხარო შედეგები მოაქვს ლოთობას.

**ნ. ლისენკო** (საამქროს ნორმადარი): — ასეთი გადაგვარებულისა და ლოთისათვის პარტიის რიგებიდან გარიცხვა ცოტაა. საჭირო იყო მისი სამართალში მიცემა და სამაგალითოდ დასჯა.

**აგიტატორი:** — ისეთები, როგორიც პანიკოვია, ცოტანი არიან. მაგრამ ამით გული არ უნდა დავიმშვიდოთ. საჭიროა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ქარხნის მთელმა საზოგადოებრიობამ კიდევ უფრო მეტი ინიციატივით, სიმტკიცითა და მიზანსწრაფვით აწარმოოს ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთებისა და მათ შორის ლოთობის წინააღმდეგ. საზოგადოებრივ აზრს კი ბევრი რამ შეუძლია. ამის მოწმობს, თუ გნებავთ, ინჟინერ ს. შანანინის მაგალითი.

ვინ არ იცნობს ჩვენს ქარხანაში საამქროს უნარიან ოსტატს, ნიჭიერ ინჟინერს ს. შანანინს. წინათ იგი დიდ პასუხსაგებ სამუშაოებს ასრულებდა, მაგრამ მაგარი სასმელებით გატაცებამ თითქმის დაღუპვის კარამდე მიიყვანა. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ და საზოგადოებრიობამ საჭირო გულისხმიერება და ყურადღება გამოიჩინეს მის მიმართ. მან სიტყვა მისცა პარტიულ ორგანიზაციას, რომ თავს დაანებებდა ლოთობას.

**ხმა ადგილიდან:** — ამხ. ს. შანანინი მართლაც გამოსწორდა, კარგა ხანია იგი მთვრალი აღარ გვინახავს.

**აგიტატორი:** — ეს ძალიან კარგია. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ კიდევ არიან „კეთილი მეგობრები", რომლებიც ს. შანანინს ეპატიჟებიან ღვინოზე. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნო, ასეთი შემთხვევები ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო იშვიათია და, ვფიქრობ, მალე სრულიად შეწყდება. ეჭვი არ არის, რომ სულ მოკლე ხანში თვით ინჟინერი ს. შანანინი დაგვეხმარება ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

უნდა აღვნიშნო, რომ უწესო მოქცევისა და ხულიგნობის ფაქტები, ლოთობის შემთხვევები ხშირად არ ხვდება საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგობას, ამის შესახებ თითქმის არაფერს არ წერენ ჩვენი ქარხნისა და საამქროთა კედლის გაზეთები. თუ გახსოვთ, ჩვენთან ქარხანაში იყო საუკეთესო მეთუნუქე ი. ბებიაშვილი. ექიმებმა მას აუკრძალეს მაგარი სასმელების სმა, მაგრამ მან სასარგებლო რჩევა-დარიგებას ყური არ დაუგდო, ყოველ მეორე-მესამე დღეს სვამდა ღვინოს. ამის გამო კუჭ-ნაწლავები დაუზიანდა და სამუდამოდ ლოგინად ჩავარდა. საზოგადოებრივ აზრს რომ დროზე გაეკიცხა და გაეფრთხილებინა, ი. ბებიაშვილს ასეთი ცუდი საქმე არ დაემართებოდა.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ღვინის გადაჭარბებით სმა პირადი საქმეა. ეს დიდი შეცდომაა. ლოთობის წინააღმდეგ მთელი საზოგადოება უნდა იბრძოდეს. მაგარი სასმელების ბოროტად ხმარება ღორობაზე უარესია. აი, როგორ ამათრახებს პოეტი ს. მიხალკოვი ლოთებს:

„ძმობილო ჩემო,
ვხედავ, გიჭირს, სიცხისგან იწვი,
სულზე მიმდგარხარ,
სულს გიხუთავს პაპანაქება..." —
წვერებცანცარამ
თანაგრძნობით უთხრა ღრუტუნას
და კვლავ წუმპეში
შესთავაზა დაბანაკება.

„ბარემლა სჯობდა! —
თხა-კიკინას მიუგო ღორმა, —
თავისუფალი
ადგილი რომ წუმპეში მომცა...
მაგრამ შიგ ლოთი გაშხლართულა...
ყოველ კვირადღეს
ასე მაწუხებს —
ლუდხანიდან ბრუნდება როცა..."

* * *

და ასე
ზოგი ნათესავად უხდება ღორსა!

მაგრამ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო ამ ლონისძიებებით როდი ამოიწურება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა-მოსამსახურეთა კულტურული დასვენების ორგანიზებულად მოწყობას.

ჩვენს კოლექტივში ლოთები ერთეულები არიან, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი კი ათობით და ასობით ითვლებიან. მათი სახელით ამაყობს ჩვენი საამქრო, მთელი ჩვენი ქარხანა. ვინ არ იცნობს, მაგალითად, ნოვატორ ხარატს მ. აკოფოვს. მან დიდი ხანია შეასრულა მეხუთე ხუთწლედის დავალება და ამჟამად 1961 წლის ანგარიშში იძლევა პროდუქციას. ჩქაროსანმა ხარატმა მ. კოვალიოვმა დიდად გაუსწრო დროს და ახლა 1958 წლის დავალებას ასრულებს. საამქროს ამ მოწინავე ადამიანებს გვერდში უდგანან ჩქაროსანი ხარატი ი. კარპოვი, მხეხავი ა. ველიკანინი, ხარატი მ. გეგელაშვილი და მრავალი სხვა, რომლებიც თავიანთი თავდადებული მუშაობით განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, ამაღლებენ საბჭოთა ადამიანის ღირსებას.

სოციალისტური საზოგადოებისათვის შეუფერებელია ისეთი მახინჯი ანტისაზოგადოებრივი მოვლენა, როგორიც არის ლოთობა. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა თვითეული მშრომელისაგან მოითხოვს მაღალ მორალურ თვისებებს, პატრიოტულ თაოსნობას და ენთუზიაზმს, შრომის მაღალ ნაყოფიერებას.

## — გ ა გ რ ა შ ი —



საქართველოს კურორტებზე ზაფხულის განმავლობაში შვებულებას ატარებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ათასობით მშრომელი. დამსვენებელთა საყვარელი ადგილია კურორტი გაგრა. **სურათზე:** ჯგუფი მასწავლებლებისა, რომლებიც ისვენებენ გაგრის „ჩელუსკინელთა" სანატორიუმში.

ფოტო **გ. ვახტანგაძისა.** (საკდესის ფოტოქრონიკა).

### ახალი ადმინისტრაციული სახლი

**რაიონის ცენტრში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ახალი ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, რომელშიც მოთავსდება პარტიის რაიონული კომიტეტი და კომკავშირის რაიკომი. მშენებლები იბრძვიან იმისათვის, რომ შენობა საექსპლოატაციოდ გადასცენ 1 ნოემბრისათვის.**

### ველოგამქირავებელი სადგური

**დამსვენებელთა და ექსკურსანტთა კულტურული მომსახურებისათვის კურორტვაჭრობის გაგრის განყოფილებამ ძველ გაგრაში გახსნა ველოგამქირავებელი სადგური, სადაც 200-ზე მეტი ველოსიპედია.**

**მშრომელები ფართოდ სარგებლობენ ამ სადგურით. გამოყოფილი არიან ველოსიპედისტები, რომლებიც ველოსპორტის მოყვარულებს ასწავლიან ველოსიპედის მართვას და ქუჩაში მოძრაობის წესებს.**

### ბიოქიმიური ლაბორატორია

**ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმში გაიხსნა ახალი ბიოქიმიური ლაბორატორია, რომელიც დიდ დახმარებას უწევს სანატორიუმის სამედიცინო პერსონალს დიაგნოზის დაზუსტებასა და დამსვენებელთა მკურნალობის შედეგად მიღებული ეფექტიანობის სწორად დადგენაში.**

### დიდი პანსიონატი

**ექსკურსანტებისა და არაორგანიზებულ დამსვენებელთა კულტურული მომსახურებისათვის სოფელ კაკლიანში, მდინარე ცივიწყაროს ნაპირზე გაიხსნა 250-ადგილიანი პანსიონატი. იგი სანიმუშოდ არის მოწყობილი, დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. პანსიონატით უკვე მრავალმა ასეულმა მშრომელმა ისარგებლა. წინადადებათა წიგნში მრავლად ნახავთ მადლობის სიტყვებს, რაც წასვლისას ჩაუწერიათ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს.**

**გ. წირღვავა,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები

დღითიდღე იზრდება და მშვენიერდება ზუგდიდის რაიონის სოფლები. რაიონულ ცენტრს ყოველწლიურად ემატება მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი შენობები.

დიდი შრომითი აღმავლობაა საკოლმეურნეო სოფლებში. კოლმეურნე გლეხები თავიანთი მამაცური შრომით ქმნიან საზოგადოებრივ დოვლათს.

ბუნებრივია, რომ კომუნიზმისათვის მებრძოლ საზოგადოებაში უსაქმურობის, უწესრიგობის მცირეოდენი გამოვლინებაც კი პატიოსან ადამიანთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ახლა უფრო მწვავედ, ვიდრე ოდესმე, დგება საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესების ზუსტად დაცვის საკითხი.

ამ მხრივ, ზუგდიდში, სამწუხაროდ, ყველაფერი რიგზე არ არის. რაიონში და თვით რაიონის ცენტრში ხშირია ლოთობის, ხულიგნობის, მოსწავლეთა უწესო ქცევის, სპეკულაციის, საზოგადოებრივი ქონების დატაცების, მწვანე ნარგავების დაზიანების, ტრანსპორტის მიერ მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევები. ამ საქმეში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად საჭიროა თვით მშრომელთა აქტიური მონაწილეობა.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა მოსახლეობის აქტივის რაიონული კრება, რომელიც ამას წინათ გაიმართა ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის შენობაში. აქტივის კრებამ მოისმინა მილიციის ზუგდიდის რაიონული განყოფილების უფროსის ამხ. ვ. შონიას მოხსენება — „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მოსახლეობის როლისა და ამოცანების შესახებ".

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა განსაკუთრებით ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რაც დღემდე გვხვდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. მართალია, მილიციის მუშაკების სერიოზული მუშაობის შედეგად უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად შემცირდა სისხლის სამართლის დანაშაულებანი და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები, მაგრამ ჯერ კიდევ არის ქურდობის, ძარცვის, სახელმწიფო ქონების დატაცების, სპეკულაციის, ლოთობის, ხულიგნობის, ბავშვთა და მოზრდილთა უწესო ქცევის შემთხვევები. მილიციის მუშაკებს ყოველივე ამის გამოსასწორებლად მეტი მუშაობა სჭირდებათ. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ჩადენილ დანაშაულობათაგან 8 საქმე გაუხსნელია, ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ არიან მოქალაქეების მ. ჯიმკარიანის, დ. ჯლარკავას, კერძაიას და სხვათა ბინების გამძარცველები.

საზოგადოებრივი ქონება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. ბოროტმოქმედთა ხელყოფისაგან მისი დაცვა არა მარტო მილიციის მუშაკების, არამედ აგრეთვე ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქის საქმეა. მაგრამ ასე როდი ხდება. როგორც კრებაზე აღინიშნა, პასუხისმგებელი მუშაკები და მოქალაქეები ზოგჯერ ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, იცავენ სპეკულანტებსა და ბოროტმოქმედებს. მაგალითად, სოფელ კახათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კაკულიამ სპეკულანტ [illegible] (№ 112, 16 მარტით დათარიღებული), თითქოს ჩახაის საკარმიდამო ნაკვეთზე მოდიოდეს 85 კილოგრამი დაფნის ფოთოლი, სინამდვილეში კი ნაკვეთზე 10-15 კილოგრამი დაფნის ფოთოლი მოდის. ზუგდიდის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს შემცვლელმა მოსამართლემ ამხ. შულაიამ მაისში მილიციის ორგანოების მიერ დაპატიმრებული გამოუსწორებელი სპეკულანტი რ. სავინა გაათავისუფლა პატიმრობიდან.

აღინიშნა აგრეთვე ხულიგნობის, სატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევები. თვრებიან უსაქმური ახალგაზრდები და ხულიგნობენ. ვინმე ა. წურწუმია უგრძნობლად დათვრა, საზოგადოებას არ გაუწია ანგარიში, ქუჩაში დაიწყო გინება და მოქალაქეებს ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენა. მილიციამ ამ დანაშაულისათვის წურწუმია დააკავა, შეუდგინა საქმე და მერე გაათავისუფლა თავდებობით. გათამამებულმა წურწუმიამ მალე ახალი დანაშაული ჩაიდინა — დათვრა და ხელახლა დაარღვია წესრიგი. იგი ახლა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის სასჯელს იხდის.

უკანასკნელ დროს რაიონში შესამჩნევად გაიზარდა მოზარდთა და ბავშვთა მიერ წესრიგის დარღვევის და სერიოზული დანაშაულის ფაქტები. მილიციის განყოფილებაში რეგისტრირებული არიან სოფელ ჭითაწყარის საშუალო სკოლის მოსწავლეები ს. ანთია და ა. ჯანაშია, რომლებმაც ხულიგნობა ჩაიდინეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, კლასში ჩაშალეს მეცადინეობა.

ჯერ კიდევ არის სამუშაო საათებში რესტორანებში ქეიფის, კინოთეატრების, კულტურის პარკისა და სხვა დაწესებულებების წინ ხულიგნური ქცევის შემთხვევები, ღამოშის ატეხის, ღრიანცელის, ქალაქში მოხალტურე მსუბუქი მანქანების თარეშის, სკვერების, გაზონების დაზიანების, საკოლმეურნეო ბაზარზე სპეკულაციის წინააღმდეგ მილიციის ორგანოებს სუსტად ეხმარება მოსახლეობა.

აქტივის კრებაზე გამოვლინდა ისეთი ფაქტებიც, როცა მოქალაქეები ხელს არ უწყობენ მილიციის მუშაკებს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითად, მოქალაქე დ. ფიფიამ საკოლმეურნეო ბაზარზე მოქალაქე ლენა მუჯირს მოპარა ფული. ქურდობის ფაქტი დაამტკიცეს მუჯირთან მყოფმა მოწმეებმა ა. მოსიამ და ს. ანთიამ. სასამართლო პროცესის დროს კი დარაზალებულმა მუჯირმა და მოწმეებმა — მოსიამ და ანთიამ შეცვალეს თავიანთი ჩვენება და ბრალდებულის დაცვას შეეცადნენ. სასამართლომ სათანადოდ დასაჯა მუჯირი, მოსია და ანთია.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. მიქავამ. კრების მუშაობა შეაჯამა პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ჩილაჩავამ.

**გ. ნოდია,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

მოძრაობაში ასე წარმოიშვა სასულიერო პირთა კრებული, სამღვდელოება. მას მალე სათავეში ჩაუდგა საეპისკოპოსო, რომელიც მატერიალურად და იდეურ-პოლიტიკურად ექსპლოატატორული კლასების ერთგული იყო. იგი თანდათანობით ხდებოდა ქრისტიანთა თემების ხელმძღვანელი და ქრისტიანულ შეხედულებებს უფარდებდა იმპერიისა და გაბატონებული კლასების ინტერესებს.

ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელსაც სათავეში ედგნენ ეპისკოპოსები, და რომელიც ეყრდნობოდა თავის მრავალრიცხოვან მიმდევრებს ჯარისკაცებსა და სამოქალაქო მოსახლეობაში, ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის დამლევიდან და III საუკუნის დამდეგიდან იწყო აქტიური მონაწილეობის მიღება პოლიტიკურ ბრძოლაში, მაგრამ არა მონებისა და დამონებული ხალხების მხარეზე, არამედ რომის იმპერატორების მხარეზე.

IV საუკუნის დამდეგს ქრისტიანობა რომის იმპერიის ოფიციალური რელიგია ხდება.

იმპერატორ კონსტანტინეს და ქრისტიანთა ეპისკოპოსების ინიციატივით მოწვეულ იქნა ნიკეის პირველი ქრისტიანთა კრება, რომელმაც საბოლოოდ დაამტკიცა საეკლესიო ქრისტიანობის ძირითადი დოგმატები და განამტკიცა ეკლესიის კავშირი საიმპერატორო ხელისუფლებასა და ექსპლოატატორულ კლასებთან. ამ დროიდან დაიწყო ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის ახალი ეტაპი, რომელსაც ახასიათებს ის, რომ ეკლესია აშკარად დაადგა ექსპლოატატორული კლასების დაცვის გზას და დაგმო ყოველგვარი ოცნება ქვეყნად თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობისათვის ბრძოლის შესახებ.

შემდგომი იმპერატორები უფრო და უფრო მეტად ეყრდნობოდნენ ქრისტიანულ ეკლესიას, რომელიც ხელს უწყობდა მათ თავიანთი შეუზღუდველი ძალაუფლების განმტკიცებაში. ქრისტიანობა გადაიქცა გაბატონებულ რელიგიად, ექსპლოატატორული კლასების ხელისუფლების მორალურ დასაყრდენად.

## ქრისტიანობა ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ეპოქაში

ფეოდალიზმის ეპოქაში ეკლესია კვლავ თავგამოდებით იცავდა მემამულე ფეოდალების ინტერესებს, ხოლო გლეხებს ზრდიდა თავიანთი ბატონებისადმი უსიტყვო მორჩილების მონური მორალის სულისკვეთებით.

ფეოდალები და საეკლესიო ორგანიზაციები ცეცხლითა და სისხლით ახშობდნენ ყველა ურწმუნოს, სხვა სარწმუნოებათა მიმდევრებსა და რევოლუციონერებს. ინდოეთთან ხელსაყრელი სავაჭრო გზის დაუფლებისათვის, რომელიც კონსტანტინოპოლზე და იერუსალიმზე გადიოდა და ხელში ჩაგდებული ჰქონდათ თურქებს, კათოლიკურმა ეკლესიამ მოაწყო 10 ჯვაროსნული ლაშქრობა მაჰმადიანთაგან წმიდა სოფიისა და „ქრისტეს საფლავის" განთავისუფლების ალმით. მილიონობით ქრისტიანი დაიღუპა სამღვდელოებისა და ფეოდალების სავაჭრო ინტერესებისათვის იმ იმედით, რომ მიიღებდა „ცოდვათა მიტევებას" და „სასუფეველსა ცისას".

როგორც ცნობილია, საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების გავლენით, გლეხთა მთელი რიგი ომებისა და ქალაქთა აჯანყებების შემდეგ, დაიწყო ფეოდალური წყობილების შეცვლა, ხელისუფლებას სათავეში თანდათან ექცეოდა ბურჟუაზია. თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად მან ისარგებლა გლეხთა მასებისა და ქალაქების მოსახლეობის უკმაყოფილებით, რასაც იწვევდა მემამულეებისა და ეკლესიის ბატონობა, ფეოდალური დაქსაქსულობით, ეკონომიური კაბალითა და პოლიტიკური უუფლებობით.

ფეოდალური წყობილების დაშლის შემდეგ გაჩნდა მთელი რიგი ბურჟუაზიული ქრისტიანული (პროტესტანტული) ეკლესიები: ლუთერანული, კალვინისტური, ანგლიკანური და მრავალი ქრისტიანული ანტიფეოდალური ორგანიზაცია (ბაპტისტებისა, ევანგელისტებისა, ადვენტისტებისა და სხვ.).

მაგრამ ყველა ქრისტიანული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია მონურ-ევანგელისტური მსოფლმხედველობა და მონური მორალი, რომლებსაც მტრული დამოკიდებულება აქვთ ერთადერთი მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისადმი და მასზე დამყარებული კომუნისტური ზნეობისადმი. ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობა, რასაც ქრისტიანობა ქადაგებს, სავსებით შეესაბამება მონათმფლობელების, ფეოდალების, კაპიტალისტების კლასობრივ ინტერესებს და განამტკიცებს მათს ბატონობას მორწმუნეთა მასებზე.

რელიგიური ორგანიზაციების რეაქციული როლი განსაკუთრებით გაძლიერდა იმპერიალიზმის პერიოდში. იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეები თავიანთი ქვეყნების მშრომელთა, აგრეთვე კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პოლიტიკის, ახალი მსოფლიო ომის მომზადების პოლიტიკის განხორციელებაში საეკლესიო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით სარგებლობენ. ამ ქვეყნებში ქრისტიანული რელიგია იმპერიალიზმის იდეოლოგიური იარაღია, მისი მორალური დასაყრდენია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს მრავალი სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაცია: კათოლიკური, პროტესტანტული, ბაპტისტური და სხვ. ისინი ყველანი პროპაგანდას უწევენ რელიგიურ-მისტიკურ, რეაქციულ მსოფლმხედველობას, ცდილობენ ჩამოაშორონ მშრომელები კლასობრივ ბრძოლას, თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობენ ხალხის მასების დამონებას ექსპლოატატორული კლასების მიერ. ანალოგიურ როლს ასრულებენ რელიგიური ორგანიზაციები სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. ბურჟუაზია ასეულ მილიონობით დოლარს ხარჯავს ქრისტიანობის, მუსლიმანობის, ბუდიზმის, ყოველგვარი ცრუმორწმუნეობისა და ცრურწმენის ქადაგებისათვის.

ამჟამად ვატიკანი ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში გადავიდა და სოციალისტური ბანაკისა და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის უბოროტესი პოლიტიკური და იდეოლოგიური მტერია. ვატიკანი პროგრესული კათოლიკეების მტერიც არის.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში არიან სამღვდელოების ცალკეული დემოკრატიული მოღვაწეები, რომლებიც გამოდიან როგორც აქტიური მებრძოლნი მშვიდობისათვის, იმპერიალისტი აგრესორებისა და ომის გამჩაღებლების პოლიტიკის წინააღმდეგ (ჯონსონი ინგლისში, ენდიკოტი კანადაში, გაჯერო იტალიაში და სხვ.).

## უფრო ფართოდ გავშალოთ მეცნიერული მსოფლმხედველობის პროპაგანდა

კომუნისტური პარტია განასხვავებს ქრისტიანული და სხვა ორგანიზაციების ანტიმეცნიერულ-რელიგიურ იდეოლოგიას და მათს პოლიტიკურ საქმიანობას. ამჟამად მსოფლიო ორ ბანაკად გაიყო: სოციალიზმის ბანაკად და იმპერიალიზმის ბანაკად. თვითეულ ამ ბანაკში არის რელიგიური ორგანიზაციები, რომლებსაც სხვადასხვა კლასობრივი შემადგენლობა აქვთ და რომლებიც სხვადასხვაგვარად ეპყრობიან იმპერიალისტ აგრესორებსა და მშვიდობისმოყვარე ხალხებს. ამ ბანაკებში სხვადასხვაგვარია მათი დამოკიდებულებაც თავიანთი სახელმწიფოების პოლიტიკისადმი. მაგალითად, კაპიტალისტურ ბანაკში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რელიგიური ორგანიზაციები ეკონომიურად, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ყველაზე მეტად დაკავშირებული არიან ექსპლოატატორულ კლასებთან და იცავენ მათ. სსრ კავშირში, სადაც აშენებულია სოციალიზმი და ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, რელიგიას გამოცლილი აქვს ყოველგვარი სოციალური ფესვები. ჩვენში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან. საბჭოთა ადამიანების აღზრდა წარმოებს სამყაროს მეცნიერული, მატერიალისტური გაგების სულისკვეთებით. საბჭოთა კავშირში არ არის ნიადაგი რელიგიური რწმენის განსავითარებლად. ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელნი, რომლებიც ახლო წარსულში მორწმუნენი იყვნენ, განთავისუფლდნენ რელიგიური რწმენისაგან. მაგრამ საბჭოთა ადამიანების ნაწილი კვლავ მორწმუნეა. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაუფლებიან მეცნიერულ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებიათ კომუნისტური მორალის პრინციპები და აქვთ ანტიმეცნიერული რელიგიური შეხედულებანი ბუნებასა და საზოგადოებაზე. ასეთი მორწმუნენი ყველა მშრომელებთან ერთად მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. სსრ კავშირში ქრისტიანული და სხვა რელიგიური ორგანიზაციების ცალკეულ რეაქციულ ხელმძღვანელთა ყველა ცდა — განეხორციელებინათ ანტისაბჭოთა პოლიტიკა, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში, ხალხმა უარყო. სსრ კავშირში ყველა რელიგიური ორგანიზაციის, მათ შორის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელები მშრომელი მასების ზეგავლენით იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ თავიანთ უწინდელ ანტისაბჭოთა პოლიტიკაზე და დამდგარიყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარდაჭერის გზაზე, განსაკუთრებით იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ეწევა.

სსრ კავშირის მოქალაქეთა ერთ ნაწილში რელიგიურ-იდეალისტური შეხედულებები რომ ცოცხლობს, ამის მიზეზია: მასების შეგნების ბუნებრივი ჩამორჩენა სოციალისტური ბაზისის სწრაფი განვითარებისაგან, მთელ რიგ ადგილებში სუსტი კულტურულ-აღმზრდელობითი და პოლიტიკური მუშაობა მასებში, უფროსი თაობების რელიგიური ტრადიციების სიმტკიცე, რელიგიური გარემოს გავლენა, ეკლესიის წარმომადგენელთა აქტიური საქმიანობა.

რელიგიური გადმონაშთები ზიანს აყენებენ თვით მორწმუნეებს და საბჭოთა საზოგადოებას. ისინი მორწმუნე მშრომელს აქცევენ პასიურ, უნებისყოფო „ღვთის მონად", ფატალისტად. ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება პროგრესულ მეცნიერებას, მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკას. რელიგია ნერგავს საბჭოთა ადამიანებისათვის უცხო მორალურ თვისებებს.

რელიგიური გადმონაშთები ხშირად ქარხნებსა და კოლმეურნეობებში მუშაობის გაცდენის, ლოთობის, ოჯახში სკანდალების მიზეზია. ბევრი რელიგიური წესის შესრულება (ხატების ამბორი, ერთი ბარძიმიდან ზიარება, ჩვილი ბავშვების დაბანა ცივ წყალში, ებრაელებსა და მაჰმადიანებში მიღებული წინადაცვეთა) ხშირად სხვადასხვა ავადმყოფობის წყარო ხდება. მორწმუნეები უნაყოფოდ ხარჯავენ თავიანთ ფულს ეკლესიების, მეჩითების, თორების და მათი მსახურების შენახვაზე.

იმ პერიოდში, როცა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლას ახორციელებს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებასთან, მათ შორის რელიგიურ გადმონაშთებთან ბრძოლას. ბოლო უნდა მოეღოს პასიურ დამოკიდებულებას მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის მოწყობისადმი. საჭიროა მოეწყოს ღრმად მოფიქრებული სისტემა ანტირელიგიური აღზრდისა სკოლაში, ოჯახში, მშრომელთა აღზრდისა კომუნისტური მსოფლმხედველობისა და მორალის სულისკვეთებით.

სსრ კავშირში ქრისტიანულმა და სხვა რელიგიურმა ორგანიზაციებმა უკვე დიდი ხანია შეწყვიტეს პოლიტიკური ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ახლა მთელ ხალხთან ერთად მონაწილეობენ მშვიდობისათვის პროგრესულ მოძრაობაში. მაგრამ ისინი ამავე დროს პროპაგანდას უწევენ ანტიმეცნიერულ რელიგიურ მსოფლმხედველობასა და მორალს, რომლებსაც მტრული დამოკიდებულება აქვთ ერთადერთი მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისადმი და მასზე დამყარებული კომუნისტური მორალისადმი. ამ პროპაგანდას უნდა დაუპირისპირდეს გაშლილი მუშაობა, რომლის მიზანი იქნება საბჭოთა ადამიანების აღზრდა კომუნიზმის სულისკვეთებით. მატერიალისტური მსოფლმხედველობის გავრცელება, რელიგიურ შეხედულებათა რეაქციული, ანტიმეცნიერული არსის მხილება.

## ფხენიანის მშენებელთა შრომითი წარმატებები

ფხენიანი, 13 აგვისტო. (საკდესი). [illegible]

...ლობა. მალე დამთავრდება საერთაშორისო სასტუმროს მშენებლობის გარესამუშაოები, წარმატებით მიმდინარეობს მრავალსართულიანი სახლების — პოლიტექნიკური ინსტიტუტის, [illegible]

[illegible] ...მის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკა აღმავლობის გზაზე

ბერლინი, 13 აგვისტო. (საკდესი). გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა 1954 წლის მეორე კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

წარმოების გეგმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობამ შეასრულა 100,5 პროცენტით. პროდუქციის მოცულობა 1954 წლის მეორე კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 12,5 პროცენტით.

მეორე კვარტალში მიღწეულ იქნა ახალი წარმატებები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში მშრომელი გლეხების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად კოოპერატივების რიცხვი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 4.691-დან გადიდდა 4.974-მდე.

საგარეო და საშინაო ვაჭრობის მოცულობა 1954 წლის მეორე კვარტალში 1953 წლის იმავე პერიოდთან შედარებით გადიდდა 48 პროცენტით. დასავლეთ გერმანიასთან ვაჭრობა 1953 წლის მეორე კვარტალთან შედარებით გადიდდა ერთისამად.

1954 წლის მეორე კვარტალში გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით და მასობრივი მოხმარების საქონლით. 1953 წლის მეორე კვარტალთან შედარებით საცალო ვაჭრობის მოცულობა გადიდდა 18 პროცენტით.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

## საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლების ათი წლისთავის აღსანიშნავად

ბუქარესტი, 13 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლების ათი წლისთავის აღსანიშნავად დღეს რუმინეთში იწყება კულტურის დეკადა. დეკადის დროს გაიმართება კონცერტები, რომლებზეც შეასრულებენ რუმინელ კომპოზიტორთა ახალ ნაწარმოებებს, დაწერილს ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად. გაიხსნება სამხატვრო გამოფენები, წიგნის ბაზრები, მოეწყობა მწერლების შეხვედრები მკითხველებთან. ქალაქებსა და სოფლებში გაიმართება საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის კინოფილმების ფესტივალი, სეირნობა და ახალგაზრდობის კარნავალი.

## არჩევნების წინ ბრაზილიაში

### ბრაზილიის კომპარტიის წინასაარჩევნო მოწოდება

მონტევიდეო, 13 აგვისტო. (საკდესი). ბრაზილიაში ეროვნული კონგრესის, შტატების საკანონმდებლო კრებების, მუნიციპალური საბჭოების ნაწილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით, რაც 3 ოქტომბერს უნდა მოხდეს, აგრეთვე გუბერნატორებისა და პრეფექტების არჩევნებთან დაკავშირებით ბრაზილიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა წინასაარჩევნო მოწოდება.

მოწოდებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე „ბრაზილიის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფული გახდა: ცხოვრება სულ უფრო ძვირდება, სწრაფად უფასურდება ვალუტა, მკვეთრად დაეცა რეალური ხელფასი, იზრდება სახალხო მოხმარების საგნების ფასები, ბინის ქირა. იზრდება გადასახადები, ნედლეულის ფასი, სწავლის ფასი, ტრანსპორტით სარგებლობის ტარიფები. ამავე დროს მსხვილი მემამულეებისა და კაპიტალისტების, აგრეთვე ამერიკის მონოპოლიების საწარმოთა მოგება ჭეშმარიტად ასტრონომიულ ციფრს აღწევს".

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ვარგასის მთავრობამ, რომელიც გაბატონებული კლასების პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას ემყარება, პოლიტიკური ტერორი გააძლიერა და ბრაზილია უფრო მეტად გახადა ამერიკის იმპერიალიზმზე დამოკიდებული. ხალხი, ნათქვამია მოწოდებაში, ერთიანდება იმისათვის, რომ იხსნას ეროვნული მრეწველობა, რომელიც ამერიკის მონოპოლიების მუქარას განიცდის, ერთიანდება იმისათვის, რომ დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. იგი ილაშქრებს შეერთებული შტატების მაგნატების მიერ ეროვნული სიმდიდრის ხელში ჩაგდების წინააღმდეგ და მოითხოვს ეროვნული სუვერენიტეტის დაცვას.

„ხალხს, — აღნიშნულია მოწოდებაში, — შეუძლია 3 ოქტომბრის არჩევნები გადააქციოს ეროვნული გამცემლობის, სიღატაკისა და პოლიციური რეაქციის პოლიტიკის წინააღმდეგ მძლავრ საპროტესტო დემონსტრაციად".

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ არის შესაძლებლობა შეიქმნას პატრიოტული ძალების ფართო კოალიცია, რომელშიც შევლენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია წვრილი ბურჟუაზია, ეროვნული ბურჟუაზიის ჯგუფები... „ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, მიუხედავად პარტიულობისა და რწმენისა, გაერთიანდნენ მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიული თავისუფლებებისა და ხალხის ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის საბრძოლველად, — ნათქვამია მოწოდებაში, — ხალხმა ხმა უნდა მისცეს იმათ, ვინც ილაშქრებს ცხოვრების სიძვირისა და შიმშილის წინააღმდეგ, შეერთებული შტატების მიერ ბრაზილიის კოლონიზაციის წინააღმდეგ, ვინც მოითხოვს ეროვნულ განთავისუფლებას, დემოკრატიული თავისუფლებისა და მშვიდობის დაცვას".

## ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასკომის განცხადება

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკდესი). ამჟამად ნიუ-იორკში მიმდინარეობს ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის ყოველკვარტალური თათბირი. აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ასახულია მშრომელთა შორის ფართოდ გავრცელებული უკმაყოფილება კონგრესის მოქმედებით. „83-ე მოწვევის კონგრესის საქმიანობა, — ნათქვამია განცხადებაში, — დაგმობის ღირსია ამერიკელი ხალხის მხრივ".

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „83-ე მოწვევის კონგრესმა იმედი გაუცრუა მუშებს, ფერმერებსა და ჩვენი ქვეყნის მომხმარებელთ".

ამერიკის შრომის ფედერაცია აკრიტიკებს კონგრესს იმისათვის, რომ მან „არ მიიღო საკანონმდებლო ღონისძიებანი წარმოების სრული დატვირთვისა და სრული დასაქმების წასახალისებლად. კონგრესმა უგულებელყო მკვეთრად უარყოფითი გავლენა, რასაც ამერიკის ეკონომიკაზე ახდენს უმუშევრობის შემდგომი გაძლიერება. მან უარყო წინადადება, რომ გადაესინჯათ უმუშევრობის დაზღვევის სისტემა, რომელიც დიდი ხანია უგულებელყოფილია და მკვეთრად გაუარესდა, და რომ გამოემუშავებინათ შტატების კანონების საფუძველზე დახმარების თანხისა და გაცემის ხანგრძლივობის სტანდარტები, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს".

ამერიკის შრომის ფედერაციის განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია: „კონგრესმა ცხადყო, რომ იგი სრულებით არ ზრუნავს მცირეშემოსავლიანი ოჯახების საჭიროებისათვის, არ უზრუნველყო მინიმალური ხელფასის რაიმე გადიდება... სავსებით უგულებელყოფილია აგრეთვე იმის საჭიროება, რომ ხელფასის და სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხებში უფლებათა დაცვის სისტემა გავრცელდეს მილიონობით მუშაზე, რომლებზეც ამჟამად არსებული კანონი არ ვრცელდება".

შემდეგ ამერიკის შრომის ფედერაცია კონგრესს აკრიტიკებს იმისათვის, რომ მან არ გააუქმა ტაფტ-ჰარტლის კანონის ყველაზე ცუდი მუხლები, იმისათვის, რომ „არ ზრუნავს რიგითი ადამიანისათვის" საგადასახადო კანონმდებლობაში, იმისათვის, რომ არ მიიღო „რაიმე პოზიტიური ღონისძიება ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ამერიკის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, რომლებიც დღითიდღე სულ უფრო მწვავდება", იმისათვის, რომ ცუდია კანონმდებლობა საბინაო მშენებლობის დარგში, იმისათვის, რომ უარი თქვა მიეღო კანონი სამუშაოზე მიღებისას დისკრიმინაციისაგან დასაცავად.

მეორე განცხადებაში ამერიკის შრომის ფედერაციის აღმასკომი მთავრობას აკრიტიკებს უმუშევრობის საკითხებში მისი პოლიტიკისათვის.

## დაიღუპა ჰოლანდიის რეაქტიული თვითმფრინავი

ჰააგა, 14 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „დე ტელეგრააფი" იუწყება, 12 აგვისტოს მიუნსტერის ახლოს, დასავლეთ გერმანიაში, დაიმსხვრა „მეტეორის" ტიპის ჰოლანდიის რეაქტიული ავიაგამანადგურებელი. პილოტი დაიღუპა.

## გადაიდო „ევროპის არმიის" საკითხის განხილვა საფრანგეთის პარლამენტში

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ეროვნულმა კრებამ 510 ხმით 107 ხმის წინააღმდეგ მოიწონა საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირის წინადადება იმის შესახებ, რომ ეროვნულ კრებაში ტუნისისა და მაროკოს საკითხზე კამათი გაიმართოს 26 და 27 აგვისტოს, ხოლო პარიზისა და ბონის ხელშეკრულებებზე — 28, 29, 30 და 31 აგვისტოს.

## „ევროპის არმიის" წინააღმდეგ

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ეროვნული კრების საფინანსო კომისიამ 22 ხმით 18 ხმის წინააღმდეგ (ერთმა თავი შეიკავა) უარყო კრისტიან პინოს (სოციალისტი) მოხსენება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" („ევროპის არმიის") შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების სასარგებლოდ.

კომისიამ დაავალა მაქს ბრიუსეს („სოციალურ რესპუბლიკელს") წარმოუდგინოს მოხსენება, რომლითაც უარყოფილ იქნება ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შესახებ.

## ახალი ასიგნებანი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პარტნიორების შესაიარაღებლად და ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის

ვაშინგტონი, 14 აგვისტო. (საკდესი). კონგრესმა მიიღო და თეთრ სახლს გაუგზავნა კანონპროექტი, რომელიც ნებას აძლევს მთავრობას 1955 საფინანსო წელს დახარჯოს 3.054 მილიონი დოლარი ეგრეთწოდებული „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის" წესით, ე. ი. სამხედრო კავშირებსა და ბლოკებში ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა და პარტნიორთა შესაიარაღებლად. აქედან 2.793 მილიონ დოლარზე მეტი გამოყოფილია პირდაპირი სამხედრო მიზნებისათვის, მათ შორის 1,5 მილიარდ დოლარზე მეტი შორეული აღმოსავლეთის რაიონისათვის.

კანონპროექტში შეტანილია დებულება, რომელიც ნებას რთავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს მოახდინოს ზეგავლენა საფრანგეთისა და იტალიის მთავრობებზე „ევროპის არმიის" შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული დებულება ნებას იძლევა შეწყვიტონ მასალების მიწოდება, რომლებიც განკუთვნილია საფრანგეთისა და იტალიისათვის 1954 და 1955 საფინანსო წლების პროგრამებით, თუ ისინი არ დაამტკიცებენ ამ ხელშეკრულებას. კანონპროექტი ითვალისწინებს აგრეთვე სამხედრო მასალების გადაცემას იაპონიისათვის.

კანონპროექტით 100 მილიონი დოლარი ასიგნებულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი დივერსიული საქმიანობისათვის. აქედან მთავრობას ნება ეძლევა 50 მილიონი დოლარი დახარჯოს საიდუმლოდ, კონგრესისათვის ანგარიშის მიუცემლად.

## ამერიკის რეაქციის თავაშვებულობა

ვაშინგტონი, 13 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ.

წინადადება კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ შეტანილ იქნა როგორც შესწორება კანონპროექტისა „ძირგამომთხრელი საქმიანობისადმი კონტროლის კანონის" გადასინჯვის შესახებ მისი შემდგომი გაფართოების მიზნით.

იმისათვის, რომ სენატის ეს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს, იგი უნდა მიიღოს წარმომადგენელთა პალატამ და დაამტკიცოს პრეზიდენტმა.



ახალი საპროდუქტო მაღაზია წყნეთში. ფოტო შ. გოქაძისა.

## ლენინგრადის ოპერეტის ანსამბლი

საქართველოში საგასტროლოდ იმყოფება ლენინგრადის ოპერეტის ანსამბლი, რომელსაც უკვე 20 წლის არსებობის ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე მან მრავალი საუკეთესო სპექტაკლი გამართა. ანსამბლის ცხოვრებაში ყველაზე აღსანიშნავი იყო დიდი სამამულო ომის პერიოდი, როცა იგი ლენინგრადის ბლოკადის დროს ყოველდღიურად მხატვრულ მომსახურებას უწევდა ფრონტზე საბჭოთა არმიის ნაწილებს, რისთვისაც ანსამბლის მრავალი წევრი მთავრობის მიერ დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

საქართველოში თავისი გასტროლები ანსამბლმა ბათუმიდან დაიწყო, სადაც მაყურებელს უჩვენა 10 სპექტაკლი, რის შემდეგ 4 სპექტაკლი გამართა ქუთაისსა და წყალტუბოში. 2 აგვისტოდან ანსამბლი ფილარმონიის საზაფხულო თეატრში თბილისელ მაყურებელს უჩვენებდა თავის სპექტაკლებს „იასამნის ბაღში", „ნიტუშ", „ჩემი გიუზელი", „ზღვის კვანძი" და „მეოცნებენი". ამ ოპერეტებს დიდი წარმატება ხვდათ — მათ სამართლიანად დაიმსახურეს თბილისელი მაყურებლის მოწონება.

სპექტაკლების მაღალმხატვრულობა მოწმობს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის, ცნობილი ნიჭიერი შემოქმედის მ. კსენძოვსკის კარგ და უნარიან მუშაობას.

დიდი დამსახურება მიუძღვით აგრეთვე დირიჟორ ლ. მეერსონს, რეჟისორებს ვ. აბრამოვს, ვ. ანდრუშკევიჩს და ტაჯიკეთის სსრ დამსახურებულ არტისტს ი. ხანზელს, მხატვრებს ვ. კომანდორს და სტალინური პრემიის ლაურეატს ტ. ბრუნის, ქორეოგრაფებს ნ. პელცერს და ლ. ბეიზელმანს.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს მსახიობებმა ტ. მაიზინგერმა, ე. ნაზარიანმა, ნ. ორლანსკაიამ, ი. ფედოტოვამ, ვ. ცვეტკოვამ, ო. ჩაიკოვსკაიამ, ვ. აბრამოვმა, ვ. ბერეზინმა, მ. კსენძოვსკიმ, ა. კრაევსკიმ, ა. ლანსკოიმ, ი. მილოვიდოვმა, ვ. პაშკოვმა, ა. სმირნოვმა, ა. სერებრენიმ და სხვებმა.

ანსამბლმა სპექტაკლები გამართა გორში, ხოლო 12-დან 15 აგვისტომდე გამოდის თბილისის ოფიცერთა სახლის საზაფხულო პარკში.

## საქართველოს საჰაერო ტრასებზე

დიდი გამოცოცხლებაა ამ ზაფხულის დღეებში საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს ტრასებზე.

თბილისის აეროპორტის მოედნიდან ადიან კომფორტაბელური საჰაერო ხომალდები, რომლებიც მოსკოვისაკენ მიემართებიან. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ჩქაროსნულ რეისებს ასრულებს, დედაქალაქამდე მხოლოდ ერთხელ ჩერდება — დონის როსტოვში. სხვა თვითმფრინავები, რომლებიც ყოველდღე მიფრინავენ მოსკოვში, ჩერდება ქუთაისში, სოხუმში, დონის როსტოვში და ხარკოვში.

თბილისიდან კიევში მიმავალი თვითმფრინავები ჩერდებიან სოხუმში, ადლერსა და სტალინოში.

მიმდინარე ზაფხულში პირველად მოეწყო საჰაერო მიმოსვლა თბილისსა და ტაშკენტს შორის. აქ რეისები ეწყობა ხუთ დღეში ერთხელ. მოგვარებულია მიმოსვლა მარშრუტით ერევანი — თბილისი — ადლერი — კრასნოდარი — მინერალური წყლები.

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს თვითმფრინავები დადიან 12 საჰაერო ხაზით. ავიაციის საშუალებით საქართველო დაუკავშირდა ჩვენი დიადი ქვეყნის შორეულ რესპუბლიკებსა და ქალაქებს.

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს ავიამუშაკები დიდ მუშაობას ეწევიან სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის საქმეში. თვითმფრინავებით მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე რეგულარულად მიაქვთ ახალი ექსპონატები, მათ შორის ხილი, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

1954 წლის მეორე კვარტალში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საკავშირო პროფსაბჭომ და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარმა სამმართველომ საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს კოლექტივს მესამე საკავშირო პრემია მიანიჭეს.

## ახალი სასტუმრო

სოხუმში სამედიცინო პლაჟის ტერიტორიაზე ამ დღეებში გაიხსნა ახალი სასტუმრო-პანსიონატი „სინოპი", რომელიც ძირითადად მომსახურებას უწევს საკუთარი მანქანებით ჩამოსულ დამსვენებლებს.

სტუმრები უზრუნველყოფილი არიან კეთილმოწყობილი ოთახებით, პირველი კლასის რესტორანით, მანქანების პროფილაქტიკით და სხვ. სასტუმროს შენობა მდებარეობს მარადმწვანე დეკორაციულ ბაღში.

ამჟამად აქ ისვენებენ ტრაქტორისტი ქალი ე. ლუკიანოვა, რომელიც არხანგელსკიდან საკუთარი „პობედით" ჩამოვიდა, გორკელი პედაგოგები გ. გრუზინი და ი. ივანოვა, ლენინგრადელი ვ. რექსი, ერევნელი ა. მარქარიანი, მოსკოველი ა. გესლერი და სხვ.

## სპორტის ამბები

### ფეხბურთი

#### საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

მოსკოვი. 14 აგვისტო. „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები.

თამაშმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა და დამთავრდა ფრედ — 1:1.

#### სსრ კავშირის პირველობა

თბილისი. 14 აგვისტო. დედაქალაქის სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ გაიმართა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისისა და კიევის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. თამაშის პირველ ნახევარში ორივე მხარე სუსტად თამაშობდა, 45-წუთიანი ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდმა სწრაფი ტემპით დაიწყო თამაში. ხშირად იქმნებოდა ხან ერთ და ხან მეორე კართან ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ არა ზუსტი დარტყმების გამო ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. ეს მეტად საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

გორკი, 14 აგვისტო. გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის 1954 წლის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ გორკის „ტორპედოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" გუნდები. თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 5:0.

#### საქართველოს პირველობა კალათბურთში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის

ქუთაისში დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება კალათბურთში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, ბათუმის, გორის, ჭიათურის, წულუკიძის, სიღნაღის, თელავის, ჩოხატაურის, სოხუმის, ხაშურის, აბაშის, ცაგერის, მახარაძის, სტალინირისა და სხვ. რაიონებისა და ქალაქების ვაჟთა 21 და ქალთა 6 გუნდი.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა წულუკიძის გუნდი, მესამეზე — გორის კალათბურთელები.

ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმის გუნდი, მეორეზე — ქუთაისელი კალათბურთელები, მესამე ადგილი დაიკავეს ჭიათურელმა სპორტსმენებმა.

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ თასი, სიგელები და დიპლომები.

## ჟურნალი „მნათობი" № 7

გამოვიდა ჟურნალი „მნათობი" № 7. ჟურნალი იხსნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის სიტყვით საქართველოს საბჭოთა მწერლების IV ყრილობაზე.

ჟურნალში დაბეჭდილია ა. შენგელიას ლექსები, ბ. ჩხეიძის, ა. ბელიაშვილის პროზაული ნაწარმოებები, ა. ჩეხოვის ორი მოთხრობა (თარგმანი ი. ევდოშვილისა), აბაის ლექსები (თარგმანი ს. შანშიაშვილისა).

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე დ. შენგელაიას, მ. თოდუას, ა. თავაძის, ტ. კვანჭილაშვილის და პ. ბახტურიძის წერილები. ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში მოთავსებულია გრ. ჩიქოვანის, ს. არველაძის, ა. სიგუას, ნ. გურაბანიძის, ვ. გოგოლაძის და ა. მირიანაშვილის წერილები.

რედაქტორის მოადგილე
**რ. ქურციკიძე.**

«კინოპროკატის» საქართველოს რესპუბლიკური კანტორა
ამ დღეებში თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე
უშვებს ახალ ინგლისურ მხატვრულ ფილმს




ჩ. დიკენსის რომანის მიხედვით

სცენარის ავტორი და რეჟისორი — ნოელ ლენგლი, ოპერატორი — ჯ. კუპერი, მხატვარი — ფ. პასეგი, კომპოზიტორი — ა. ჰოპკინსი.

მთავარ როლებში მსახიობები: დ. პიჯენი, დ. დონალდი, ლ. მერტონი, ა. გოუჯი, ნ. პატრიკი, გ. ფოულერი.

„რენოუნ — ფილმის" ნაწარმოები. ინგლისი.

საქხეტყემშენვაჭრობის ქ. თბილისის ხეტყის სავაჭრო საწყობი № 1 (დიდუბე, რკინის ქ. № 2) აცხადებს, რომ მიღებული აქვს ფინური ოროთახიანი სახლები 35 კვადრატული მეტრი მოცულობისა. ფასი 12.542 მან. იყიდება ნაღდ ანგარიშზე.

მოქალაქე **სერგო ვლადიმერის-ძე მარიხაშვილმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში სპარტაკის შესახვევი № 7, აღძრა საქმე ქ. თბილისში კალატოზის ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე **სათენიკ პოღოსის ასულ ჯალალიალთან** განქორწინების შესახებ, საქმეს განიხილავს ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

ამიერკავკასიის რკინიგზის ქალაქის სადგურის თანამშრომლები იუწყებიან **ანა ლუკას ასულ კაკუშაძის** გარდაცვალებას.

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება **შალვა სერგის-ძე გიგიბერიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-VIII, 6 ს. ელბაქიძის ქ. № 5.

მეუღლე თამარ გაჩეჩილაძე იუწყება **შალვა სერგის-ძე გიგიბერიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-VIII, 8 ს. გამოსვენება 17-VIII, 6 ს. ელბაქიძის ქ. № 5.

შვილები ლუბა, კუკური, სიძეები კ. აბრამია, ბ. მიქაძე, შვილიშვილები ლალი, ბეგლარ იუწყებიან **უშანგი მიხეილის-ძე ბედიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VIII ქ. ცხაკაიაში. სტალინის პროსპ. № 160.

მამა ირაკლი, დედა პესია, მეუღლე თამარ, შვილი ირაკლი, დები ნინო, ქსენია, სიძე ლევან აბესაძე, ძმები მელენტი, სიმონ, ნიკოლოზ, ბიძები ევგრაფი, გრიგოლ ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ ირაკლის-ძე გამყრელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VIII, 8 ს. გამოსვენება 17-VIII, 6 ს. ცემის ქ. № 16.

შვილები თამარ, ბენო, იორდანე, მიხეილ, რძლები გრეტა, კოკოშა, მარიამ, სიძე ვასო რევიშვილი, შვილიშვილები ნიკოლოზ, ნადია, იამზე, რუსიკო, თეიმურაზ იუწყებიან **ივლიტა გარსევანის ასულ თოდრაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VIII, 8 ს. გამოსვენება 17-VIII, 6 ს. უშანგი ჩხეიძის ქ. № 23 (ყოფილი სანაპირო).

შვილები კონსტანტინე, სონია, ვერა, შვილიშვილი თემურ ალანიები იუწყებიან **ნატალია პავლეს ასულ ალანიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VIII, 6 ს. გამოსვენება 17-VIII, ლენინგრადის ქ. № 3.

შვილები გრიგოლ, მიხეილ, რძლები კატო, მარო, იულია, თინა, სიძე შალვა მაღლაკელიძე, შვილიშვილები ალექსანდრე, გოგუცა, შოთა, უშანგი, ბაბო, გივი, ნაზი, დავითი, მერი, თინა, თემურ, თენგიზ იუწყებიან **ქრისტეფორე სიმონის-ძე ამბროლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VIII სოფ. ქვედა სიმონეთში (ქუთაისის რ.).

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობის და მინდორსაცავი ტყის გაშენების მთავარი სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **პელაგია ალმასხანის ასულ ქურიძე-ხუნწარიას** გარდაცვალებას.

მამა ილია, დები ვერა, თინა, მარო, ძმისწული შოთა ოჯახით, სიძე აკაკი კაკაბაძე შვილებით ნატოთი და მამიათი, ბიძაშვილები სიმონ, ყარამან, მამია ჭანკოტაძეები ოჯახებით იუწყებიან **ნინო ილიას ასულ ჭანკოტაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VIII სოფ. თვრინში (ზესტაფონის რ.).

შვილიშვილები ნინო, მარინე, ლალი, ირინე კაკუშაძეები, მადლენა, გიორგი, მანანა კულუაშვილები, იაშა, გენადი ზოტიკიშვილები, ღ. და თ. შონიები იუწყებიან **ანა ლუკას ასულ კაკუშაძის** გარდაცვალებას.

შვილი დავით, რძალი ქეთევან, შვილიშვილები ნინო, ლალი იუწყებიან **ანა ლუკას ასულ კაკუშაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 15-VIII, 5 ს. საგურამოს ქ. № 18.

მე-14 პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **თენგიზ ნიკოლოზის-ძე ხვიტიას** გარდაცვალებას.

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თანამშრომლები და ამხანაგების ჯგუფი იუწყებიან **თენგიზ ნიკოლოზის-ძე ხვიტიას** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხაზდივნისა — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის—3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 04655 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.